თბილისის ღია უნივერსიტეტი

ავტორი: ნინო დოკაძე

თემა: თავდებობა, როგორც პერსონალური უზრუნველყოფის საშუალება

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზურაბ ჭეჭელაშვილი

ქ.თბილისი 0156
საქართველო

2020 წ.

თბილისის ღია უნივერსიტეტი

„ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანი ნინო დოკაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „თავდებობა, როგორც პერსონალური უზრუნველყოფის საშუალება“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“.

თარიღი:

ხელმძღვანელი: პროფესორი, ზურაბ ჭეჭელაშვილი

ხელმოწერა:

რეცენზენტი:

ავტორი: ნინო დოკაძე

ნაშრომი: „თავდებობა, როგორც პერსონალური უზრუნველყოფის საშუალება“.

სამართლის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით, მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა:

რეზიუმე:

წარმოდგენილი ნაშრომის თემა არის „თავდებობა, როგორც პერსონალური უზრუნველყოფის საშუალება“. შესაბამისად ნაშრომში განხილული იქნება თავდებობა, როგორც ინსტიტუტი, მისი სამართლებრივად მომწესრიგებელი ნორმები, სასამართლო პრაქტიკა და გავაკეთებ შედარებით-სამართლებრივ ანალიზს სხვა ქვეყნების კანონმდებლობასთან მიმართებაში.

ნაშრომში წარმოჩენილი და განხილული იქნება ზოგადად თავდებობის ინსტიტუტი. ასევე, პრობლემები, რომელიც თავს იჩენს თავდებობის ხელშეკრულების დადების შემდეგ.

ნაშრომი მოიცავს: შესავალს, შვიდ თავს, რომლებშიც განხილულია თავდებობის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტები, დასკვნას და ბიბლიოგრაფიას.

ნაშრომის I თავში განხილულია თავდებობის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება და თავდებობის მსგავსი ინსტიტუტები, რომელთა შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია ის მსგავსებები და განსხვავებები, რომლებიც მათ გააჩნიათ. II თავში განხილულია თავდებობის ხელშეკრულების ფორმა, ხელშეკრულების ნამდვილობა, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ ხელშეკრულება ჩითვალოს ნამდვილად და სათანადო ფორმით დადებულად, ასევე თავდებობის სახეები და ხელშეკრულების სუბიექტები, რომლებიც არიან მთავარ როლში ხელშეკრულების დადებისას. III თავი მოიცავს თავდების ვალდებულების საფუძველსა, მისი პასუხისმგებლობის ფარგლებს, მის უფლებებს და განხილულია თუ რა უდევს საფუძვლად თავდების ვალდებულებას, რა ფარგლებშია იგი პასუხისმგებელი მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების მიმართ და რა უფლებები გააჩნია აღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობაში. IV თავში განხილულია თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შედეგები, განხილულია რა შედეგი დგება მას შემდეგ რაც თავდები უზრუნველყოფს კრედიტორის დაკმაყოფილებას და შედეგად რა უფლებები წარმოეშობა მას ძირითადი მოვალის მიმართ, აღნიშნულ საკითხთნ მიმართებაში განვიხილავ სუროგაციას და რეგრესის წესით ძირითადი მოვალისათვის მოთხოვნის საფუძვლებს. V თავი მოიცავს თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების უარის თქმის საფუძველს, სადაც განხილულია ის შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია თავდებმა ვალდებულების შესრულებაზე უარი თქვას. VI თავში განვიხილავ ხელშეკრულების შეწყვეტას, სადაც განხილული იქნება თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტის სხვადასხვა შემთხვევები, თუ როდის არის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი სახეზე. აღნიშნული შეიძლება იყოს ხელშეკრულების შესრულება, ვადის გასვლა და სხვა, რასაც განვიხილავ აღნიშნულ თავში. VII თავი მოიცავს თავდებობის ინსტიტუტის შედარებით-სამართლებრივ ანალიზს უცხო ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, სადაც განხილული იქნება თავდებობის ინსტიტუტი ევროპის წამყვანი ქვეყნების

კანონმდებლობის მიხედვით და ვეცდები წარმოვაჩინო მსგავსებები და განსხვავებები ქართულ კანონმდებლობასთან მიმართებაში.

თემაში განხილულია ის ძირითადი, მნიშვნელოვანი საკითხები და პრობლემები, რომელიც უკავშირდება თავდებობის ხელშეკრულებას.

წინამდებარე თემის მნიშვნელოვან როლს განაპირობებს სწორედ თავდებობის ინსტიტუტის აქტუალურობა და პრაქტიკული გამოყენება სამართლებრივ ურთიერთობებში. გამომდინარე იქიდან, რომ დღეს არსებული საკრედიტო ურთიერთობების ძირითადი ნაწილის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებულია თავდებობა, მნიშვნელოვან როლს სძენს აღნიშნულ ინსტიტუტს და სწორედ ეს განაპირობებს თავდებობის ინსტიტუტის შესწავლისა და მისი კვლევის საჭიროებას. ვინაიდან დღემდე არც თუ ისე ბევრი კვლევა არსებობს ამ ინსტიტუტის გარშემო, ხოლო მისი პრაქტიკაში ფართო გამოყენება მოიცავს მრავალ ხელშეკრულებას და სამართლებრივ ურთიერთობას, რომლებშიც ვხვდებით ბევრ პრობლემას, მიმაჩნია, რომ წინამდებარე თემის განხილვა საკმაოდ მნიშვნელოვანია. გამომდიბნარე იქიდან, რომ თავდებობა პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებადია და არსებობს ბევრი დავა აღნიშნულ ინსტიტუტთან მიმართებაში, წინამდებარე თემა უფრო გამოყენებადი იქნება პრაქტიკოსი იურისტებისათვის, იგი შესაძლებელია დაეხმაროს მათ საკითხის უკეთ გაცნობაში და საკითხის გარშემო არსებული პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში.

Resume:

The topic of the present work is "Guarantee as a personal provision". Accordingly, the topic will discuss the guarantee as an institution, its legally regulatory norms, case law, and will make a comparative-legal analysis of the legislation of other countries.

The Institute of Guarantee in general will be presented and discussed in the topic. As well as the problems that arise after concluding a surety agreement.

The topic r includes Introduction, seven chapters, which discuss important aspects of the guarantee agreement, conclusion, and bibliography.

Chapter I of the topic discusses the legal nature of the institution of guarantee and similar institutions of guarantee, the comparative-legal analysis of which shows the similarities and differences that they have. Chapter II discusses the form of the surety agreement, the validity of the contract, what is required for the contract to be considered genuine and duly concluded, as well as the types of surety and the subjects of the contract who are in the lead role when concluding the contract. Chapter III covers the basis of the obligation of the guarantor, the scope of his liability, his rights and discusses what underlies the obligation of the guarantor, to what extent he is responsible for his obligations, and what rights he has in this legal relationship. Chapter IV discusses the results of the guarantor's satisfaction with the creditor, discusses the consequences after the guarantor ensures the creditor's satisfaction, and as a result, what rights it derives from the principal debtor. Chapter V covers the grounds for refusal of the creditor to be satisfied by the creditors, where the cases when the guarantor may refuse to fulfill the obligation are discussed. In Chapter VI, I will discuss the termination of the contract, which will consider the various cases of termination of the contract of guarantee, when the grounds for termination of the contract are on the face of it. This may include fulfillment of the contract, expiration of the term, etc., which I will discuss in this chapter. Chapter VII includes a comparative-legal analysis of the institution of guarantee under the legislation of foreign countries, which will discuss the institution of guarantee under the legislation of the leading European countries and I will try to show similarities and differences with the Georgian legislation.

The topic discusses the main, important issues and problems related to the guarantee agreement.

The topicality and practical application of the institution of trust in legal relations play an important role in this topic. Because today the credit is used as a means of securing the main part of the credit relations, it plays an important role in this institution and this is what determines the need for the study of the institution of guarantee and its research. Since there are still not many studies around this institution, and its widespread use in practice involves many treaties and legal relationships in which we encounter many problems, I find it important to discuss this topic. Given that bail is widely used in practice and there is much controversy over this institution, this topic will be more applicable to practicing lawyers and may help them better understand the issue and solve practical problems surrounding the issue.

სარჩევი

შესავალი 9

თავი I 11

თავდებობის ცნება და არსი 11

1.1 თავდებობის ცნება და მისი სამართლებრივი ბუნება 11

1.2 თავდებობა და სხვა მსგავსი ინსტიტუტები (შედარებით სამართლებრივი ანალიზი) 14

თავი II: ხელშეკრულების ფორმა 19

2.1 თავდებობის ხელშეკრულების ფორმა და ხელშეკრულების ნამდვილობა 19

2.2. თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტები და ხელშეკრულების სახეები 24

თავი III: თავდების ვალდებულების საფუძველი და მისი უფებები 31

3.1 თავდების ვალდებულების საფუძველი 31

3.2. თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები 33

3.3 თავდების უფლებები და შესაგებლის უფლება კრედიტორის მიმართ 38

3.4 თავდებობისაგან განთავისუფლება 41

თავი IV: თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შედეგები 44

თავი V: თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი 49

თავი V: თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტა 52

თავი VI: თავდებობის ინსტიტუტი უცხო ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით 55

დასკვნა: 58

ბიბლიოგრაფია: 60

შესავალი

თავდებობა წარმოადგენს სესხის უზრუნველყოფის პერსონალურ საშუალებას, ამ შემთხვევაში სესხის ხელშეკრულების უზრუნველყოფა ხდება არა რაიმე უძრავ/მოძრავი ქონება, არამედ პიროვნება, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ უზრუნველყოფას/გარანტიას შემდგომში ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად. თავის მხრივ თავდებთან კრედიტორი აფორმებს პერსონალურ ხელშეკრულებას, რომელიც შემდგომში მის მიმართ წარმოშობს გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც შემდეგში პირდაპირ უკავშირდება მის ქონებრივ უფლებებს, რადგან ძირითადი მსესხებლის ქონებასთნ ერთად, სესხის უზრუნველსაყოფად აღსრულების ნაწილში მიიქცევა თავდების ქონებაც.

თავდებობის ხელშეკრულებისა და წარმოდგეილი თემის აქტუალურობას განაპირობებს სწორედ დღეისათვის არსებული ეკონომიკური მდგომარეობა. სესხის ჭარბი მოთხოვნა საბანკო სექტორში, რომელთა უმრავლესობაც უზრუნველყოფილია სწორედ თავდებობის ხელშეკრულებით. აღნიშნული, თავის მხრივ წარმოშობს პრობლემებს თავდებების მიმართ, რადგან ხშირად ძირითდი მსესხებლების არაკეთილსინდისიერება და უპასუხისმგებლობა თავდების გამოსასწორებელი ხდება, რაც თავის მხრივ ლახავს მათ უფლებებს. ასევე ხშირია ხელშეკრულების გაუცნობიერებლად დადების შემთვევები, რაც შემდგომში რთულ მდგომარეობაში აყენებს ადამიანებს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ აღნიშნული თემა საკმაოდ აქტუალური და პრობლემურია, რაც განაპირობებს თემის შესწავლის და მისი ანალიზის საჭიროებას.

კვლევის მიზანს და ამოცანას წარმოადგენს თავდებობის ინსტიტუტის სამართლებრივი ანალიზი, მისი განხილვა არსებული ქართული კანონმდებლობისა და სხვა ქვეყნების სამართლის შედარებითი ანალიზის საფუძველზე და თავდებობასთნ დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის განხილვა.

საკვლევ ობიექტს წარმოადგენს თავდებობის ხელშეკრულება, თავდების პასუხისმგებლობა და მისი ფარგლები, ხელშეკრულების გაფორმება, ხელშეკრულების ნამდვილობა და თანმდევი შედეგები.

კვლევის მეთოდს წარმოადგენს შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გამოყენებული ლიტერატურისა და სხვა ქვეყნების სამართალთან შედარების შედეგად.

მატერიალურ ბაზას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა, სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომები და სასამართლო პრაქტიკა.

თავი I

თავდებობის ცნება და არსი

1.1 თავდებობის ცნება და მისი სამართლებრივი ბუნება

თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვაში თავდებობა ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თავდებობის თანახმად, თავდები კისრულობს ვალდებულებას პასუხი აგოს კრედიტორის წინაშე მესამე პირის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავებით, თავდებობა კრედიტორს თავდების რაიმე კონკრეტულ ქონებაზე, რაიმე უპირატესი დაკმაყოფილების უფლებას კი არ ანიჭებს, არამედ თავდებობის ძალით კრედიტორი მოვალესთან მიმართებაში არსებულ ძირითად მოთხოვნასთან ერთად, ასევე დამატებით ვალდებულებით-სამართლებრივ მოთხოვნას იძენს თავდების მიმართ. შესაბამისად სანივთო უზრუნველყოფისაგან განსხვავებით თავდებობა გვევლინება პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებად, რომლის დროსაც კრედიტორის შესრულების ინტერესის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა თავდების გადახდისუნარიანობას ენიჭება.[1]

თავდებობის მნიშვნელობის დასტურად საკმარისია იმაზე მითითება, რომ ბანკები სესხის გაცემისას არ სჯერდებიან მხოლოდ გირავნობას ან იპოთეკას და აუცილებლად იყენებენ თავდებობას.[2]

თავდებობა წაროიშობა ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მოვალეს

---

[1] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ. 546

[2] ჭანტურია.ლ, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“ 2012 წ. გვ. 179

(მესამე პირს) ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად (891 I მუხლი). ამით თავდები თვითონ კი არ კისრულობს მოვალის ვალდებულების შესრულებას, არამედ თავდებად უდგება კრედიტორს, რომ მოვალე შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. თავდებობა, მსგავსად გირავნობისა და იპოთეკისა, უზრუნველყოფის აქცესორული საშუალებაა. იგი მთლიანად არის დამოკიდებული ძირითად ვალზე (მოთხოვნაზე). „თავდების ვალდებულების განმსაზღვრელია ძირითდი ვალდებულების არსებობა“ (893-ე მუხლი). ახალი კრედიტორისათვის ძირითადი ვალდებულების გადაცემით გადადის თავდებობის კრედიტორის სტატუსიც, რადგან თავდებობა მისდევს უზრუნველყოფილ მოთხოვნას. ეს იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორი და თავდების კრედიტორი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. თავდებობის აქცესორული უფლება გამოიყენება იმაშიც, რომ დაუშვებელია მისი ან დაგირავება ან სხვისთვის გადაცემა. მართალია, თავდებობა კრედიტორის მოთხოვნის უფლებას ნიშნავს მაგრამ არ შეიძლება ეს მოთხოვნა ბრუნვაში დამოუკიდებლად მონაწილეობდეს და ის მუდამ თან სდევს უზრუნველყოფილ მოთხოვნას. [3]

თავდებობა ნებისმიერი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება დაიდოს. კანონი თავდებობასთან დაკავშირებით რაიმე სახის შეზღუდვას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, მხარეთა კერძო ავტონომიისა და ნების თავისუფალი პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ თავდებობა როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების უზრუნველსაყოფად გააფორმონ. როგორც წესი, პრაქტიკაში თავდებობა ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით იდება. თავდებობა შესაძლებელია ასევე სამომავლო და პირობითი

[3] ჭანტურია.ლ, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“ 2012 წ. გვ. 183.

ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით იქნეს გათვალისწინებული.[4]

თავდებობის შემთხვევაში საქმე ეხება ძირითადი ვალდებულებისაგან გასამიჯნ, თავდების მიერ ცალმხრივად ნაკისრ შესრულების ვალდებულებას, რომელიც საკუთარ სამართლებრივ საფუძველს (კაუზას) საკუთარ თავში შეიცავს და მისი ნამდვილობა სხვა ვალდებულების გარიგების ნამდვილობაზე არ არის დამოკიდებული. თავდებობა წარმოშობს შესრულების დამოუკიდებელ ვალდებულებას და არა მხოლოდ პასუხისმგებლობას სხვისი ვალისათვის. თავდებობის მიზანს წარმოადგენს ძირითადი მოვალის წინააღმდეგ მიმართული კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფა დამხმარე ვალდებულების კისრებით. [5]

---

[4] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ. 547.

[5] გიორგი რუსიაშვილი, სამოქალაქო სამართლის კომენტარი მუხლი 891-ე. http://www.gccc.ge/%e1%83%ac%e1%83%98%e1%83%92%e1%83%9c%e1%83%98-%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%94/%e1%83%99%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%ab%e1%83%9d-%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%ac%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98/%e1%83%99%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%98-i-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%ae%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%99%e1%83%a0%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%9d-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b/%e1%83%97%e1%83%90%e1%83%95%e1%83%98-xxii-%e1%83%97%e1%83%90%e1%83%95%e1%83%93%e1%83%94%e1%83%91%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%90/%e1%83%9b%e1%83%a3%e1%83%ae%e1%83%9a%e1%83%98-891/

1.2 თავდებობა და სხვა მსგავსი ინსტიტუტები (შედარებით სამართლებრივი ანალიზი)

საინტერესოა თავდებობის ხელშეკრულების განხილვა სხვა მსგავს ინსტიტუტებთან მიმართებაში, როგორებიც არის: გარანტია, ვალის გადაკისრება, ვალის თანაკისრება.

გარანტია თავდებობის მსგავსად ვალდებულების პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებაა. თუმცა თავდებობისაგან განსხვავებით გარანტის მიერ გაცემულია ცალმხრივი დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია ის პირობები, რომელიც გარანტის მიერ თანხის გადახდის საფუძველია. თავისი სამართლებრივი ბუნებით საბანკო გარანტია არ არის აქცესორული. იგი აბსტრაქტული გარიგებაა და არსებობს სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად.[6]

საბანკო გარანტია გარეგნულად ჰგავს თავდებობას. ორივე შემთხვევაში საუბარია კრედიტის უზრუნველყოფის ვალდებულებით-სამართლებრივ და პიროვნულ საშუალებებზე, რომლებშიც მესამე პირის (მოვალის) ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება სრულიად სხვა პირს (თავდებს და გარანტს). ორივე შემთხვევაში, არც გარანტს და არც თავდებს ბრალი არ მიუძღვით ვალდებულების შესრულებაში და მაინც კისრულობენ ვალდებულების შესრულებას სხვისი ბრალისათვის. ამ, ერთი შეხედვით მნიშვნელოვანი მსგავსების მიუხედავად, თავდებობა და საბანკო გარანტია მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

1. განსხვავებით თავდებობისაგან საბანკო გარანტია უზრუნველყოფის არააქცესორული საშუალებაა. გარანტიის ხელშეკრულება არის დამოუკიდებელი დაპირება. მისი არსებობა არ არის დამოკიდებული ძირითდი ვალდებულების არსებობაზე, თუმცა ფაქტობრივად საბანკო გარანტია ამ ვალდებულების უზრუნველსაყოფად არის შეთანხმებული და საბანკო გარანტიაში ყოველთვის არის მითითება ამ ხელშეკრულებაზე. 881-ე მუხლის თნახმად საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე არ არის დამოკიდებული იმ ძირითდ ვალდებულებაზე, რომლის შესრულების

[6] ნინო ლიპარტია, დისერტაცია, თემა: საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, ქ.თბილისი, 2018 წ. გვ.55

უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, თუნდაც გარანტია შეიცავდეს ვალდებულებას ამ მითითებაზე. თავდებობა უზრუნველყოფის აქცესორული საშუალებაა და ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა იწვევს თავდებობის შეწყვეტას. ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა კი არ იწვევს საბანკო გარანტიის შეწყვეტას.[7] ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საბანკო გარანტია იგივე ფუნქციას ასრულებს რასაც თავდებობა, ის მაინც დამოუკიდებელი შეპირებაა, რომელიც არ არის დამოკიდებული უზრუნველყოფილ ვალდებულებაზე. 2. საბანკო გარანტია არც უზრუნველყოფის სუბსიდიური საშუალებაა. გარანტს არ აქვს უფლება ჯერ მოსთხოვოს კრედიტორს მოვალისაგან დაკმაყოფილების მიღება, თვითონ კი მხოლოდ ამის შემდეგ დააკმაყოფილოს კრედიტორი. თავდების მდგომერეობა ამ საკითხში განსხვავებულია: როგორც წესი, მისი პასუხისმგებლობა სუბსიდიურია. (894-ე მუხლი). 3. არ არის გათვალისწინებული გარანტისა და პრინციპალის სოლიდარული პასუხისმგებლობა კრედიტორის (ბენეფიციარის) წინაშე, მაშინ როცა თავდები და მოვალე შეიძლება სოლიდარულად იყვნენ პასუხისმგებელნი კრედიტორის წინაშე (895-ე მუხლი). 4. საბანკო გარანტიიდან არსებული ბენეფიციარის უფელბა არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს (883-ე მუხლი). 5. გარანტიის დამოუკიდებლობა იმაშიც გამოიხატება, რომ გარანტს არა აქვს პრინციპალის შესაგებლების გამოყენების უფელბა ბენეფიციარის მიმართ. [8]

იმისდა მიხედვით თავისუფლდება თუ არა ძველი მოვალე ვალის გადაკისრების ხელშეკრულების შედეგად თავისი ვალდებულებისაგან, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში განასხვავებენ ვალის გადაკისრების ორ სახეს:

1. პრივატული ვალის გადაკისრება (die privative Schuldübernahme) და
2. კუმულატიური ვალის გადაკისრება (die kumulative Schuldübernahme).

---

[7] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.208

[8] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.209

პრივატული ვალის გადაკისრების დროს ძველი მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან და მის ადგილს იკავებს ახალი მოვალე. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი). კუმულატიური ვალის გადაკისრების დროს ძველი მოვალე არ თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან. იგი რჩება ვალდებული კრედიტორის წინაშე, ხოლო მესამე პირი ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში შემოდის თანამოვალის სახით. კუმულატიური ვალის გადაკისრებას მეორენაირად შეგვიძლია ვალის დელეგირება (დელეგაცია) ვუწუდოთ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს მხოლოდ პრივატულ ვალის გადაკისრებას და მისთვის უცნობია ხელშეკრულების საფუძველზე კუმულატიური ვალის გადაკისრების - ე.წ ვალის დელეგირების შესახებ ზოგადი ნორმები.[9]

გარკვეული მსგავსებების მიუხედავად, ვალის გადაკისრება განსხვავდება თავდებობისაგან. საერთო კუმულატიურ ვალის გადაკისრებასა და თავდებობის ერთ-ერთ სახეს - სოლიდარულ თავდებობას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლი) აქვთ ის, რომ ორივე შემთხვევაში კრედიტორს უშუალო მოთხოვნის უფელება აქვს, როგორც ახალი მოვალის, ისე თავდების მიმართ. მაგრამ დოგმატურად ამ სამართლებრივ ინსტიტუტებს შორის სხვაობა ძნელი დასადგენი არ არის: თავდები კისრულობს, თავდებად დადგეს სხვისი ვალისათვის, როდესაც კუმულატიური ვალის გადაკისრებით ახალი მოვალე ვალს კისრულობს როგორც თავის საკუთარს. მაგრამ ხშირ შემთხვევაში მხარეები ვერ აცნობიერებენ ამ სხვაობას; შესაბამისად, ნაკლებად თუ შეიძლება მათი განმარტებების სიტყვასიტყვითი გაგებიდან იმ დასკვნის გაკეთება: სახეზე არის ვალის გადაკისრება თუ თავდებობა. ამიტომ გერმანული სამართლის მეცნიერებაში შეიქმნა ე.წ „ეკონომიკური სხვაობის კრიტერიუმი“. ამ კრიტერიუმის თანახმად ვალის გადაკისრების წინაპირობაა ახალი მოვალის საკუთარი ეკონომიკური ინტერესი, როდესაც თავდებს ასეთი ინტერესი არა

[9] ზურაბ ჭეჭელაშვილი, სადისერტაციო ნაშრომი: მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, ქ.თბილისი, 2008 წ. გვ.116

აქვს. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ განსხვავებული მოთხოვნებია დადგენილი ამ გარიგებათა ფორმის მიმართაც. [10]

კანონი ვალის გადაკისრების ორ შესაძლებლობას ითვალისწინებს: პირველი, როცა ვალის გადაკისრებაზე თანხმდებიან მოთხოვნის მფლობელი და ახალი მოვალე (მ.203) და მეორე, როცა ასეთი გადაკისრება ემყარება მესამე პირსა და მოვალეს შორის შეთნხმებას (მ.204). ამრიგად, სამოქალაქო კოდექსი ვალის გადაკისრების საკითხში ანგარიშგასაწევად მიიჩნევს, როგორც კრედიტორის, ისე მოვალის ნებას. ორივე შემთხვევაში ახალი მოვალის პიროვნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს კრედიტორისათვის, რამეთუ ახალ მოვალეზე გადადის ვალდებულების რეალური შესრულების მთელი ტვირთი. ქართული სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს ვალის ისეთ გადაკისრებას, როცა ამავე ტვირთის მატარებელი იმავდროულად რჩება ძველი მოვალეც. ვალის ასეთ გადაკისრებას კუმულატიური დელეგაცია ეწოდება, როდესაც ძველი და ახალი მოვალე სოლიდარულად აგებენ პასუხს კრედიტორის წინაშე. კრედიტორის ინიციატიცით ვალის გადაკისრება არ ოითხოვს იმავდროულად ძველ მოვალესთნ შეთნხმებას, თუმცა ძველ მოვალეს შეუძლია არ დაეთანხმოს ვალის გადაკისრებას და თვითონ შეასრულოს თავისი მოვალეობა. აქედან უკვე ცხადი ხდება, რომ ძველი მოვალის პრეტენზიამ შეიძლება ბათილად აქციოს კრედიტორსა და ახალ მოვალეს შორის შეთნხმება. ვალის გადაკისრების დროიდან თუკი ძველი მოვალე გონივრულ ვადაში საწინააღმდეგოს არ განაცხადებს, მისი მხრიდან დუმილი თანხმობის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.[11]

მსგავსად მოთხოვნის დათმობისა, ვალის გადაკისრების შემთხვევაში მოვალე პირის ცვლილება გავლენას არ ახდენს შესასრულებელი ვალდებულების შინაარსზე. ვალის გადაკისრების ხელშეკრულების საფუძველზე, კრედიტორის თანხმობით შემოდის

---

[10] ზურაბ ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა) მეოთხე გადამუშავებული გამოცემა 2016 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით, ქ.თბილისი, გამომცემლობა: „ბონა კაუზა“. გვ.290

[11] ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართლი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა: „მეცნიერება“, 2003 წ. გვ.201

ახალი მოვალე, რომელიც უერთდება მხარეთა შორის არსებულ ვალდებულებების პირობებს უცვლელი შინაარსით. ვალის გადაკისრება კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებში მოვალე პირის ცვლილებას იწვევს. ამდენად, თუკი მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალს თავის თავზე იღებს მესამე პირი (ვალის გადაკისრება), იგი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს (სსკ-ის 203-ე მუხლი).[12]

ძირითადი ვალდებულების კრედიტორის უზრუნველყოფა შეიძლება მიიღწეს არა მხოლოდ იმით, რომ მესამე პირი კისრულობს პასუხისმგებლობას ამ ძირითდი ვალდებულებისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე არ შეასრულებს ვალდებულებას (თავდებობა). მსგავსი ტიპის წვდომა მესამე პირის ქონებაზე აქვს მაშინაც, როდესაც ის ამ მესამე პირთან ვალის თანაკისრებას (კუმულატიურ ვალის გადაკისრებას) შეათანხმებს. ამ შეთანხმების საფუძველზე ვალის თანამკისრებელი ხდება ძირითდ მოვალესთნ ერთად იმავე რიგის მოვალე თავისი დამოუკიდებელი ვალდებულებით; ორივე პირი ამ თანაკისრების შედეგად ხდებიან სოლიდარული მოვალეები. ვალის თანაკისრება, ვალის გადაკისრების მსგავსად, წარმოადგენს ინტერცესიის ნაირსახეობას, რომლის ფარგლებშიც ერთი პირი იღებს პასუხისმგებლობას სხვისი ვალისათვვის. თუმცა განსხვავებით ვალის გადაკისრებისაგან, ვალის თანაკისრებისას თავდაპირველი მოვალის ვალდებულება ძალაში რჩება. კრედიტორი ვალის თნამკისრებლის სახით იღებს ახალ მოვალეს, რითაც ამცირებს თვდაპირველი მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის რისკს, რაც წარმოადგენს კიდეც მოცემულ სიტუაციაში მისი ინტერესის საგანს. ვალის თანაკისრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოწესრიგებული არ არის, თუმცა ხელშეკრულების თვისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მისი დასაშვებობა უპირობოდ და ერთმნიშვნელოვნად აღიარებულია გერმანული სამართლის ოჯახის ყველა მართლწესრიგის მსგავსად. გამიჯვნა ვალის თანაკისრებასა და თავდებობას შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი პუნქტების გამო: 1. ვალის

[12] თამარ შოთძე, სანივთო სამართალი, გამომცემლობა: „მერიდიანი“, ქ.თბილისი, 2014 წ. გვ. 198-199

თნაკისრების შემთხვევაში შეუძლებელია საუბარი პასუხისმგებლობის აქცესორულობაზე თავდებობის ხელშეკრულების გაგებით. მართალია თანამკისრებლის ვალდებულება სსკ 205-ე მუხლის ანალოგიის მიხედვით საწყისი (ანუ კისრების) მომენტისათვის დამოკიდებულია მოთხოვნის არსებობასა და მის შინაარსზე და ამგვარად თანამკისრებელს აქვს ყველა კონტრპოზიცია (მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი და გამაქარწყლებელი შესაგებლები), რომელიც თანაკისრების მომენტისათვის თავდაპირველ მოვალეს ჰქონდა კრედიტორის მიმართ. თუმცა მაშინ, როდესაც თავდებობისას თავდების ვალდებულება აქცესორულობის გამო, ასევე მოგვიანებითაც ძირითად ვალდებულებას მიყვება და მის ცვლილებაზეა დამოკიდებული (სკ-ის 898-ე მუხლი), ორივე სოლიდარული მოვალის პასუხისგება ვალის თანაკისრების შემდეგ, სკ-ის 460-ე მუხლის მიხედვით დამოუკიდებელ კალაპოტშია მოქცეული. გარდა ამისა ვალის თანაკისრებისას მოვალის ვალდბულებას არა აქვს სუბსიდიარულობის ის მომენტი, რაც თავდებობის პასუხისმგებლობისათვის არის დამახასიათებელი.[13]

თავი II: ხელშეკრულების ფორმა

2.1 თავდებობის ხელშეკრულების ფორმა და ხელშეკრულების ნამდვილობა

პასუხისმგებლობის გრძნობა და ვალდებულების განცდა უდევს საფუძვლად ადამიანის არჩევანს - დადოს ხელშეკრულება ან არ დადოს იგი. თუ პირი დარწმუნებულია, რომ ის ვერ შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს და მას

[13] გიორგი რუსიაშვილი, თავდებობის ხელშეკრულება, მისი გამიჯვნა მსგავსი ტიპის შეთანხმებებისაგან და სპეციალური ფორმები. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2020წ. გვ.22

ამისთვის პასუხს მოსთხოვენ ის არ დადებს ასეთ ხელშეკრულებას. ესეც კერძო ავტონობიისა და სახელშეკრულებო თვითბოჭვის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა და მას ხელშეკრულების დადების თვისუფლება ეწოდება. [14]

ხელშეკრულების დადების თავისუფლება, როგორც კერძო ავტონომიის მნიშვნელოვანი გამოხატულება, არის შესაძლებლობა დადოს ან არ დადოს პირმა ესა თუ ის ხელშეკრულება, შეარჩიოს მისთვის სასურველი კონტრაჰენტი და ხელშეკრულების მეორე მხარესთან შეთანხმებით თავისუფლად განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი.[15]

თუმცა არსებობს კონკრეტული შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების ფორმის დაცვა აუცილებელია.

თავდებობა აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა იქნეს გამოხატული. წერილობითი ფორმის მოთხოვნას გააჩნია სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვა, რომელიც თავდების დაცვას ისახავს მიზნად. ერთის მხრივ, წერილობითი ფორმა თავდების გაფრთხილების ფუნქციას ასრულებს. ხშირად თავდები თავდებობის ხელშეკრულებას იმ ვარაუდით აფორმებს, რომ მოვალე შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და მას არ მოუწევს თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. თავდები ხშირად გულგრილად ეკიდება თავდებობას და არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მოვალემ შეიძლება არ შეასრულოს ვალდებულება და მას თავად მოუწიოს ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, შესაძლოა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ თავდებს ვალდებულება მძიმე ტვირთად დააწვეს. წერილობითი ფორმა იცავს თავდებს ნაჩქარევი და დაუფიქრებელი გადაწყვეტილების მიღებისაგან. იგი თვალნათელს ხდის ხელშეკრულების შესაძლო შინაარსსა და პასუხისმგებლობის მოცულობას და

---

[14] ლადო ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2011 წ. გვ 93

[15] ლადო ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2011 წ. გვ 93

შესაძლებლობას აძლევს თავდებს თავდებობის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება, თავდებობასთან დაკავშირებული რისკების აწონ-დაწონვისა და მათი გააანალიზების შედეგად მიიღოს. მეორე მხრივ, წერილობით ფორმას მტკიცემულებითი ფუნქცია აქვს და თავიდან გვარიდებს დავას თავდებობის არსებობასა და მის ოდენობასთნ დაკავშირებით. გარდა ამისა, წერილობითი ფორმა იმ რისკის შემოსაზღვრასა და ხაზგასმას ემსახურება, რომელიც თავდებმა თავდებობის ხელშეკრულებით იკისრა. [16]

მართალია თავდები თვითონ არ მონაწილეობს ვალდებულების შესრულებაში, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს მისი პასუხისმგებლობის სიფრთხილეს. პირიქით, ის ფაქტი, რომ თვითონ ვერ ახდენს გავლენას ძირითადი მოვალის ვალდებულების შესრულებაზე, უფრო ზრდის მის დაუცველობას და სხვისი ბრალისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების რისკს, რაც პრაქტიკაში ხშირად ხდება კიდევაც. ამიტომაც მოითხოვს სამოქალაქო კოდექსი სავალდებულო წერილობით ფორმას, რომ ამით აჩქარებისაგან დაიცვას თავდები და მისცეს მას პასუხისმგებლობის გაცნობიერების შესაძლებლობა. კერძოდ, თავდებობის წარმოშობისათვის აუცილებელია თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება (892-ე I მუხლი). 892-ე I მუხლი ორ დოკუმენტზე საუბრობს: თავდების წერილობით განცხადებაზე და თავდებობის დოკუმენტზე (ხელშეკრულებაზე). ამ ნორმის სიტყვა-სიტყვითი გაგების გავლენით ბანკები თავიაანთ საქმიანობაში თავდებობის გასაფორმებლად ორივე დოკუმენტს იყენებენ: თავდების წერილობით განცხადებასაც და თავდებთან ხელშეკრულებასაც, რომელიც არსებითდ იმეორებს თავდების განცხადების ტექსტს. ასეთი ზედმეტად ფორმალისტური მიდგომა თავდებობის ფორმისათვის

[16] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ. 548-549.

გადაჭარბებულია. თავდებობა, აღიარებული შეხედულების მიხედვით არის ცალმხრივი მავალდებულებელი ხელშეკრულება თავდებსა და ძირითდი ვალდებულების კრედიტორს შორის. ეს ხელშეკრულება შედგება თავდების ვალდებულებისაგან, ხოლო კრედიტორი იღებს მხოლოდ ამ ვალდებულებას საპასუხო შესრულების დაპირების გარეშე. [17]

59 I მუხლის მიხედვით ბათილია კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. 892-ე I მუხლით დადგენილი ფორმის დაუცველობა იწვევს თავდებობის ბათილობას და „თავდების ვალდებულებათა გაუქმებას". მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა თავდებობა, მართალია, წერილობით არ გაფორმდა, თავდებმა კი მაინც შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, სასურველია, რომ შესრულებით სწორდებოსდეს ფორმის ნაკლი და ბათილობა არ იქნეს მიჩნეული თავდებობის წერილობითი ფორმის დაუცველობის ერთადერთ სამართლებრივ შედეგად. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ წერილობითი ფორმის მიუხედავად პირები პრაქტიკაში დაუფიქრებლად აწერენ ხელს მათთვის შემოთავაზებულ თავდებობის ხელშეკრულების პროექტებს, უფრო მიზანშეწონილია თავდებობის ხელშეკრულების წერილობითი ფორმის მკაცრად დაცვა და მისი დაუცველობის შემთხვევაში 976-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგების გამოყენება. [18]

კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა მითითებული ფორმის დაცვა აუცილებელი არ არის თავდებობის ნამდვილობისათვის. ეს შესაძლებელია მაშინ, თუ ვინმე თავდებობის შესახებ განაცხადებს თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლი). მაგალითად წერილობითი ფორმა არ არის სავალდებულო, როცა ერთი ხელოსანი

---

[17] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი", ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.188

[18] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი", ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.189

თავის შეგირდს თავდებად უდგება, მეორე ხელოსნის წინაშე, რომ შეგირდი ამა თუ იმ სამუშაოს მაღალ დონეზე შეასრულებს.[19]

პროფესიულ საქმიანობად ასევე მიიჩნევენ ბანკების საქმიანობას და აქედან გამომდინარე, ბანკების თავდებობას, წერილობითი ფორმის დაცვა არ სჭირდება. თუმცა, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, აქაც უმთავრესად წერილობითი ფორმა გამოიყენება. მაგალითად, საწარმოს სასწრაფოდ სჭირდება მაკომპლექტებელი პროდუქცია, რომლის საფასურის დაუყოვნებლივ გადახდის შესაძლებლობა მას არა აქვს. ამიტომ ის სთხოვს ბანკს, რომ მიმწოდებლის წინაშე დაუდგეს მას თავდებად და გაუგზავნოს მას ფაქსი. ასეთი რამ დასაშვებია და ფაქსით გაგზავნილი თავდებობა იქნება ნამდვილი, რადგან ის 892-ე II მუხლის მიხედვით პროფესიული საქიანობის ფარგლებშია განხორციელებული.[20]

სხვა შემთხვევებში, წერილობითი ფორმის დაუცველობა იწვევს თავდებობის თაობაზე მიღწეული ყველა ფორმის ბათილობას და შესაბამისად, თავდების ვალდებულებათა გაუქმებას. თუ კანონით დადგენილი ფორმის დარღვევით დადებული თავდებობის ხელშეკრულება შესრულდა, მაშინ მხარეთა მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ორმხრივი რესტიტუცია.[21]

რაც შეეხება სასამართლოს განმარტებებს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე #ას-3კ-432-02, სადაც განმარტების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების ფორმა, მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი დოკუმენტი გაფორმებულია წერილობითი ფორმით, დადასტურებულია თავდების, გენერალური დირექტორის და ბუღალტრის

---

[19] ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999წ. გვ.246

[20] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.189-190.

[21] ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე. გამომცემლობა „სამართალი, თბილისი, 2001 წ. გვ. 230

ხელმოწერით, დოკუმენტი დამოწმებულია კომპანიის ბეჭდით. დოკუმენტში გამოხატულია თავდების ნება იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა იკისროს კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობა მოპასუხის ვალდებულებებისათვის. დოკუმენტში ასევე მითითებულია კონკრეტული მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც იკისრა მოსარჩელემ პასუხისმგებლობა. დადგენილია, რომ მითითებული დოკუმენტი მიიღო კრედიტორმა, მასში მითითებულ პირობებზე არ გამოუთქვამს პრეტენზია, გააფორმა საკრედიტო ხელშეკრულება მოპასუხესთან და გასცა სესხი, რაც უნდა ჩითვალოს მხარეთა შორის მიღწეულ შეთნხმებად დოკუმენტში მითითებული პირობებით. კასატორის შეთნხმება იმის თაობაზე, რომ უნდა არსებობდეს ორი წერილობითი დოკუმენტი (განცხადება და თავდებობის დოკუმენტი), საკასაციო პალატა არ ეთანხმება, რადგან კანონი არ კრძალავს ერთი დოკუმენტით გაფორმდეს, როგორც თავდებობის განცხადება, ასევე ხელშეკრულების არსებითი პირობები. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ თავდებობა ნამდვილია და წარმოდგენილი საგარანტიო წერილი უნდა ჩაითვალოს წერილობითი ფორმით შედგენილ თავდებობის დოკუმენტად.[22]

2.2. თავდებობის ხელშეკრულების სუბიექტები და ხელშეკრულების სახეები

თავდებობა მესამე პირის (ძირითდი მოვალის) კრედიტორსა და თავდებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობაა, რომელშიც თავდები კრედიტორის წინაშე მხოლოდ მესამე პირის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის აგებს პასუხს ისე, რომ პირადად მას ამ შეუსრულებლობაში პრალი არ მიუძღვის. თავდებობის ხელშეკრულების კრედიტორი და უზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორი

[22] უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 7 ივნისის სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმე #ას-3კ-432-02.

ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. კრედიტორისგან განსხვავებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოვალე და თავდები აუცილებლად სხვადასხვა პირები უნდა იყვნენ. არალოგიკურია მოვალე საკუთარ თავს დაუდგეს თავდებად. ის ისედაც აგებს კრედიტორის წინაშე მთელი ქონებით პასუხს და კრედიტორისათვის მისი თავდებობა არავითარი დამატებითი და რეალური უზრუნველყოფა არ იქნება. პრაქტიკაში გავრცელებულია შემთხვევები, როცა იურიდიული პირების, მაგალითად, სააქციო საზოგადოების მიერ ბანკისაგან აღებულ ვალს თავდებად უდგებიან ამ იურიდიული პირის პარტნიორები. ასევე ხშირია, როცა მეუღლის მიერ აღებულ კრედიტს თავდებად მეორე მეუღლე უდგება. ვინაიდან თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი სუბიექტები მოვალე და კრედიტორი არიან, თავდებსა და მოვალეს შორის სამართლებრივი კავშირი ისეთი გამოკვეთილი არ არის, როგორც თავდებსა და კრედიტორს შორისაა, თუმცა თავდებობის ურთიერთობა მოვალის გარეშე არ არსებობს. იმავდროულად მნიშვნელობა არა აქვს თავდებად დადგომის მოტივს. თავდებად შეიძლება გამოვიდნენ, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, მათ შორის სახელმწიფოც. სახელმწიფოს მონაწილეობა თავდების როლში გავრცელებულია საერთაშორისო ვაჭრობაში და ამ დროს სახელმწიფოს მონაწილეობა არ ცვლის თავდებობის კერძოსამართლებრივ ბუნებას, რაც პირველ რიგში, წარმოშობილ დავად სამოქალაქო სასამართლოებისადმი ქვემდებარეობით გამოიხატება.[23]

ჩვეულებრივ თავდების პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე არის სუბსიდიური: კრედიტორი ჯერ უნდა შეეცადოს მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფით და მხოლოდ ამის შემდეგ მოითხოვოს თავდებისაგან დაკმაყოფილება.[24]

---

[23] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.186-187.

[24] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.190.

თავდებობიდან გამომდინარე უფლების რეალიზაციისთვის განსხვავებული წესია დადგენილი იმისდა მიხედვით, მხარეებს დადებული აქვთ ჩვეულებრივი თავდებობის ხელშეკრულება, თუ თავდებობის ხელშეკრულება სოლიდარული თავდებობის კისრებით. ჩვეულებრივი თავდებობის შემთხვევაში კრედიტორმა ჯერ უშუალოდ მოვალის მიმართ უნდა სცადოს იძულებითი აღსრულება. მანამდე, სანამ კრედიტორი ამოწურავს მოვალისაგან დაკმაყოფილების საშუალებებს, თავდებს შეუძლია უარი თქვას მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გარდა ამისა, თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს სადავო გახადოს ის ხელშეკრულება, რომელიც საფუძვლად უდევს მის ვალდებულებას. პრაქტიკაში ასეთი სახის თავდებობა ძალიან იშვიათია. უფრო გავრცელებულია თავდებობის ხელშეკრულებები სოლიდარული თავდებობის კისრებით (სოლიდარული თავდებობა). სოლიდარული თავდებობა გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლით, რომელშიც, კერძოდ აღნიშნულია: „თუ თავდები კისრულობს ვალდებულებას სოლიდარულად ან სხვა თნაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების გარეშეც, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა“. აღსანიშნავია, რომ ამ მუხლში არასწორია გამოთქმა „თნაბარმნიშვნელოვანი სახით“, რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს სოლიდარულ პასუხისმგებლობასთნ გათნაბრებულ, რომელიმე სხვა სახის პასუხისმგებლობას, თუმცა, სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ სოლიდარულ და სუბსიდიარულ სახეებს.[25]

ამდენად, სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში კრედიტორს აღარ ესაჭიროება მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობა, იგი პიდაპირ მოსთხოვს

[25] ზურაბ ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მესამე გადამუშავებული გამოცემა, ქ.თბილისი, 2020წ. გვ.259

თავდებს ვალდებულების შესრულებას. პრაქტიკაში, როგორც წესი, კრედიტორი სასამართლოში ერთდროულად უჩივის ორივე პირს - მოვალესაც და თავდებსაც და ეს უკანასკნელები სასამართლო პროცესში გამოდიან, როგორც თანამოპასუხეები.[26]

სოლიდარული თავდებობისაგან განსხვავდება თანათავდებობა, რომლის დროსაც ძირითად ვალდებულებას თავდებად უდგება რამდენიმე პირი, რომლებიც სოლიდარულად აგებენ პასუხს კრედიტორის წინაშე (896-ე მუხლი). ამიტომ მათ სოლიდარული თავდებები შეიძლება ეწოდოს. მათი პასუხისმგებლობა ძირითად მოვალესთან მიმართებაში, შეიძლება იყოს, როგორც სუბსიდიური (ჩეულებრივი თავდებობა), ისე სოლიდარული.[27]

საკრედიტო ურთიერთობებში ასევე გავრცელებულია ე.წ არააქცესორული თავდებობა, რომელიც უმთავრესად გამოიყენება საბანკო სფეროში და საერთაშორისო ვაჭრობაში და თავდებს აკისრებს პირველივე მოწოდებისთნვე შესრულების ვალდებულებას. არააქცესორულობა თავდებობისა ხელშეკრულებიდან უნდა გამომდინარეობდეს და თავიდანვე ნებაყოფლობით უნდა კისრულობდეს ვალდებულების შესრულებას კრედიტორის პირველი მოწოდებისთნავე. ამით თავდებობა გარკვეულწილად წყდება ძირითდი ვალდებულების შესრულების პროცესს. თანაც თავდები უარს ამბობს კრედიტორის წინააღმდეგ თავისი შესაგებლების გამოყენებაზე. [28]

მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია თავდებობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი აქცესორულობისა და სუბსიდიარულობის პრინციპის გარკვეული

---

[26] ზურაბ ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მესამე გადამუშავებული გამოცემა, ქ.თბილისი, 2020წ. გვ.260

[27] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.191.

[28] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.191.

მოდიფიცირება. ამისი მაგალითია სოლიდარული თავდებობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის მიხედვით, რა დროსაც თავდები უარს ამბობს „წინასწარ ჩივილის“ შესაგებელზე (სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლი) და რაც წარმოადგენს სუბსიდიარულობის პრინციპის მნიშვნელოვან შეზღუდვას. გარდა ამისა სახელშეკრულები პრაქტიკამ გამოკვეთა თავდებობის მთელი რიგი სპეციალური ფორმები, რომელთა დროსაც თავდებობის ხელშეკრულება იძენს ატიპიურ ელფერს თავდებობის სხვადასხვა ფორმების კომბინირებით.[29]

თავდებობა - „პირველი მოთხოვნისთანავე“

თავდებობის ძირითადი ვალდებულებისაგან მოთხოვნის მოწყვეტისა და მისთვის დამოუკიდებელი ხასიათის მინიჭების გზაზე ყველაზე შორს მიმავალ მცდელობას წარმოადგენს თავდებობა „პირველი მოთხოვნისთანავე“ (Bürgschaft auf erstes Anfordern), როდესაც თავდებს წართმეული აქვს სამოქალაქო კოდექსის 894-ე-905-ე მუხლებით გათვალისწინებული შესაგებლები. მართალია, თავდებობის ამ ფორმის შემთხვევაში ბმა თავდებობასა და უზრუნველყოფილ, ძირითად ვალდებულებას შორის სრულად გაწყვეტილი არ არის, თუმცა გადახდილის უკან დაბრუნებისათვის უნდა იბრძოლოს თავდებმა გადახდის შემდეგ გამართულ პროცესზე, სადაც მან უნდა ამტკიცოს, რომ ჰქონდა კრედიტორის წინაშე მატერიალურ სამართლებრივი შესაგებლები 894-ე-905-ე მუხლების მიხედვით.[30]

გამომდინარე იქიდან, რომ თავდებობა „პირველი მოთხოვნისთანავე“ თავდების ვალდებულებას სულ მცირე ფორმალურად მაინც წყვეტს ძირითადი ვალდებულებისაგან, მისი შეთანხმება, კრედიტორის მიერ წაყენებულ სტანდარტულ

---

[29] გიორგი რუსიაშვილი, თავდებობის ხელშეკრულება, მისი გამიჯვნა მსგავსი ტიპის შეთანხმებებისაგან და სპეციალური ფორმები. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2020წ. გვ.26

[30] გიორგი რუსიაშვილი, თავდებობის ხელშეკრულება, მისი გამიჯვნა მსგავსი ტიპის შეთანხმებებისაგან და სპეციალური ფორმები. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2020წ. გვ.26

პირობებში, წარმოადგენს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ დამაზიანებელ პირობას (სამოქალაქო კოდექსის 346 ქ მუხლის გაგებით), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავდები საკრედიტო ინსტიტუტია. ასევე ინდივიდუალურ ხელშეკრულებებში თავდებობა „პირველი მოხოვნისთნავე“ უნდა განიმარტოს, როგორც „ჩვეულებრივი“ თავდებობა, სამოქალაქპ კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით, თუ კრედიტორს არ შეიძლებოდა ჰქონოდა იმის მოლოდინი, რომ თავდები გააცნობიერებდა ამ შეთანხმების იურიდიულ შინაარსს და მისთვის აკიდებული ტვირთის სიმძიმეს.[31]

„მოვალის გამოთიშვის“ თავდებობა

„პირველი მოთხოვნისთნავე“ თავდებობის სრულ ანტიპოდს წარმოადგენს ე.წ „მოვალის გამოთიშვის“ თავდებობა ა (Ausfallbürgschaft), რომლის დროსაც თავდების მდგომარეობა გამყარებულია იმგვარად, რომ მას აქვს არა მხოლოდ წინასწარ ჩივილის შესაგებელი სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლის მიხედვით, არამედ მისი ვალდებულება თავიდანვე წარმოიშობა პირობადადებულად. გადადების პირობით (სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) ეს პირობა უკავშირდება იმას, რომ კრედიტორმა შესაბამისი გულისხმიერებით განხორციელებული იძულებითი აღსრულებისას მოვალის მთლიან ქონებაზე და ყველა სხვა უზრუნველყოფის რეალიზაციის შემდეგაც ვერ უნდა მოიპოვოს დაკმაყოფილება. „მოვალის გამოთიშვის“ თავდებობის შეთანხმება დაიშვება ასევე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებშიც. [32]

„თავდების თავდები“

[31] გიორგი რუსიაშვილი, თავდებობის ხელშეკრულება, მისი გამიჯვნა მსგავსი ტიპის შეთანხმებებისაგან და სპეციალური ფორმები. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2020წ. გვ.27

[32] გიორგი რუსიაშვილი, თავდებობის ხელშეკრულება, მისი გამიჯვნა მსგავსი ტიპის შეთანხმებებისაგან და სპეციალური ფორმები. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2020წ. გვ.27

სამოქალაქო კოდექსის 897-ე მუხლში მოწესრიგებულია „თავდების თავდების“ (Nachbürgschaft) შემთხვევა. აქ საქმე ეხება სხვა პირის მიერ ნაკისრი თავდებობის თავდებობით უზრუნველყოფას და წინაპირობას წარმოადგენს იმის შეთანხმება, რომ ერთი პირი, მომდევნო რიგის თავდები, კისრულობს პასუხისმგებლობას სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის მიხედვით სხვა პირის - წინა რიგის თავდების - მიერ ნაკისრი ვალდებულებებისათვის. ამგვარად, მომდევნო რიგის თავდებობით უზრუნველყოფილია მოთხოვნა არა ძირითადი მოვალის მიმართ, არამედ ამ ძირითად მოთხოვნის უზრუნველმყოფი პირველი რიგის თავდებობა. მომდევნო რიგის თავდებს შუძლია კრედიტორისაგან თავი დაიცვას მხოლოდ იმ შესაგებლებით, რომელიც პირველი რიგის (წინარე) თავდებობას უკავშირდება, თუმცა „წინარე თავდებობა“, აქცესორულობის პრინციპის მიხედვით, ასევე მაშინაც ბათილდება, როდესაც არ არსებობს მისით უზრუნველყოფილი მოთხოვნა. წინარე თავდებს შეუძლია მომდევნო თავდებს დაუპირისპიროს კრედიტორის მიმართ არსებული ყველა შესაგებელი. გამომდინარე იქიდან, რომ თავდებობის და უზრუნველყოფილი მოთხოვნის ერთმანეთისაგან მოწყვეტა დაუშვებელია, მომდევნო თავდები წინარე თავდებობასთან ერთად მოიპოვებს ასევე ძირითად მოთხოვნასაც.[33]

უკუთავდებობა - მაშინ, როდესაც მომდევნო და წინა რიგის თავდებობა ძირითადი ვალდებულების კრედიტორის უზრუნველყოფას ემსახურება, უკუთავდებობის გაცხადება ხდება თავდების (მთავარი თავდების) სასარგებლოდ. ის უზრუნველყოფს მთავარი თავდების - გადადების პირობით პირობადებულ - კანონისმიერი ცესიის საფუძველზე (სამოქალაქო კოდექსის 905-ე 1 მუხლი) მინიჭებული რეგრესის მოთხოვნას ძირითდი მოვალის წინააღმდეგ ან/ასევე მოთხოვნას სამოქალაქო კოდექსის 717 I მუხლიდან - მთავარ თავდებსა და მოვალეს შორის არსებული დავალიანების ხელშეკრულებიდან ი შემთხვევაში თუ მოვალე თავის

[33] გიორგი რუსიაშვილი, თავდებობის ხელშეკრულება, მისი გამიჯვნა მსგავსი ტიპის შეთანხმებებისაგან და სპეციალური ფორმები. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2020წ. გვ.27-28

ვალდებულებას არ შეასრულებს. უკუთავდების მოთხოვნა წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავარ თავდებს მართლაც აქვს ზემოაღნიშნული რეგრესული მოთხოვნები მთავარი მოვალის წინააღმდეგ.[34]

თავი III: თავდების ვალდებულების საფუძველი და მისი უფლებები

3.1 თავდების ვალდებულების საფუძველი

თავდების ძირითადი ვალდებულება წარმოიშობა მასსა და მოვალის კრედიტორს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. სწორედ ხელშეკრულება წარმოადგენს თავდებობასთან ძირითადი ვალდებულების სამართლებრივი კავშირის საშუალებას, ურომლისოდაც საერთოდ წარმოუდგენელია თავდებობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა. ამიტომაა, რომ კანონი სპეციალურად იუთითებს თავდებობისა და ძირითადი ვალდებულების განუყოფელ კავშირზე. თავდებობის ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია ძირითადი ვალდებულების არსებობა. საბანკო გარანტიისაგან განსხვავებით თავდებობას ავტონომია არ გააჩნია. იგი

[34] გიორგი რუსიაშვილი, თავდებობის ხელშეკრულება, მისი გამიჯვნა მსგავსი ტიპის შეთანხმებებისაგან და სპეციალური ფორმები. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2020წ. გვ.28

ყოველთვის ძირითადი ვალდებულებითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, თავდებობა მოქმედებს მოვალის მხოლოდ იმ ვალდებულებებზე, რომელიც უკვე აისახა თავდებობის ხელშეკრულებაში. ამიტომ თუ ძირითადი ვალდებულების მოვალე რაიმე გარიგებას დადებს თავდებობის აღების შემდეგ, ასეთი გარიგებით წარმოშობილ ვალდებულებებზე თავდებობა არ გავრცელდება და შესაბამისად თავდების ვალდებულებაც არ გაიზრდება.[35]

ამრიგად, კრედიტორის მოთხოვნის და თავდების პასუხისმგებლობის მთავარ სამართლებრივ საფუძველს შეიცავს 891-ე I მუხლი. მის თანახმად კრედიტორის მოთხოვნის განხორციელების წინაპირობა არის თავდებობის ხელშეკრულება და ძირითადი ვალდებულების არსებობა. თავდებობის ხელშეკრულება ცალმხრივია. ამ ხელშეკრულებით თავდებს ეკისრება მოვალეობა, დაუდგეს ძირითად მოვალეს თავდებად კრედიტორის წინაშე, ხოლო ძირითდი მოვალის კრედიტორს ენიჭება თავდებისაგან მოთხოვნის უფლება.[36]

თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნის მეორე მნიშვნელოვანი წინაპირობაა ძირითადი ვალდებულების არსებობა. მაგრამ თავდების პასუხისმგებლობის დადგომისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ვალდებულების არსებობა, ასევე დამდგარი უნდა იყოს ვალდებულების შესრულების ვადა. გადამწყვეტი წინაპირობა თავდების პასუხისმგებლობისა არის ძირითადი მოვალის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა.[37]

---

[35] ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე. გამომცემლობა „სამართალი, თბილისი, 2001 წ. გვ. 231-232.

[36] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.192.

[37] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.193.

3.2. თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები

თავდებობის ხელშეკრულება აქცესორული ბუნებისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და არსებობა ძირითად ვალდებულებაზეა დამოკიდებული. სწორედ ამ ძირითადი ვალდებულების ფარგლებში აგებს თავდები პასუხს. შსაბამისად კრედიტორს თავდებისაგან იმ შესრულების მოთხოვნის უფლება უნდა ჰქონდეს, რა შესრულებაც მოვალეს მართებს მის წინაშე. დაუშვებელია თავდები დაზარალდეს ძირითად მოვალეზე მეტად და მას უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროს, ვიდრე ძირითად მოვალეს ეკისრება. უარეს შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ თავდების მოვალეობები გაუთანაბრდეს ძირითადი მოვალის მოვალეობებს. ის, რომ ძირითადი ვალდებულების არსებობა თავდების პასუხისმგებლობისათვის გადამწყვეტია, როდი ნიშნავს იმას, რომ თავდებს ყოველთვის ამ ოდენობით სურს იკისროს პასუხისმგებლობა. თავდები ყველა შემთხვევაში თვითონ წყვეტს რა ოდენობით იკისრებს იგი პასუხისმგებლობას ძირითადი ვალდებულების შესრულებაზე.

შესაძლებელია, თავდებს სრული მოცულობით სრულაც არ სურდეს ძირითადი ვალდბულების თავდებობა.[38]

თავდებობის შინაარსში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავდების პასუხისმგებლობის ფარგლების ზუსტ განსაზღვრას. თავდებობის ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული იმ ზღვრული თანხის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც თავდების კისრულობს პასუხისმგებლობას. შესაძლებელია თანხის ეს ოდენობა იყოს ძირითადი ვალდებულების ტოლფასოვანი. ამიტომ ხელშეკრულებაში თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება ხსნის ერთ მეტად მნიშვნელოვან სადავო საკითხს - რა თანხის ფარგლებში აგოს პასუხი თავდებმა. აღნიშნული თანხის ზევით, რა რაოდენობითაც არ უნდა აღემატებოდეს მას მთლიანი ძირითდი ვალდებულება, თავდები არ არის ვალდებული ასეთი ვალდებულება დაფაროს. თავდებობის ხელშეკრულებაში ზღვრული თანხაზე მითითება სრულ წარმოდგენას არ ქმნის თავდების პასუხისმგებლობის ფარგლებზე. კანონი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას უნდა დადგეს თავდების პასუხისმგებლობა კონკრეტული სახის ვალდებულებებისათვის, რომლებიც უნდა შეესრულებინა და არ შეასრულა ძირითადმა მოვალემ. კერძოდ, თავდები პასუხს აგებს ხელშეკრულებაში აღნიშნული ზღვრული თანხის ფარგლებში მხოლოდ მაშინ, თუ მხარეებს შორის არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება და ასეთ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა შემოიფარგლება განსაზღვრული ჩარჩოებით. თავდები პასუხს აგებს ძირითადი მოვალის არა ყოველგვარ არამართლზომიერ ქცევაზე, არამედ: ა. ძირითადი ვალის შესაბამისი თანხისათვის. არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ შესაძლებელია ეს ვალი შეიცვალოს ძირითდი მოვალის ბრალით, ანდა ვალის გადახდის გადაცილებით, რამაც გამოიწვია მასზე საურავის დარიცხვა. სხვა სახის ვალის გადახდა თავდებს არ ეკისრება. რაც შეეხება სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ან ზიანის საერთო თანხას, რომელიც

[38] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.551.

ძირითადი ვალდებულების ამსახველი ხელშეკრულების დამთავრების დროისთვისაა გათვალისწინებული, თავდებს პასუხისმგებლობა მაშინ დაეკისრება, თუ ეს საგანგებოდ იყო შეთანხმებული. სხვა შემთხვევაში მათზე პასუხისმგებლობა ძირითად მოვალეს დარჩება. ბ. ხელშეკრულების შეწყვეტისა და სასამართლო ხარჯებისათვის. აქ ის ხარჯების იგულისხმება, რომლებიც ძირითადი მოვალის მიერ უნდა ანაზღაურებულიყო და შესაძლებელი იყო მათი თავიდან აცდენა, თუკი თავდებს ჰქონდა კრედიტორის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. გ. ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრი პროცენტების გადახდისათვის. ძირითად ვალდებულებაში ფულადი თანხის გადახდასთან ერთად შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს პროცენტის გადახდაც. ამ შემთხვევაში, მოვალისათვის პროცენტის გადახდა ვალდებულების შემადგენელი ელემენტია. ამიტომ ასეთი ვალდებულება, ჩვეულებრივ, არ გადადის. მისი ვალდებულება ძირითადი თანხის დაბრუნების უზრუნველყოფაში გამოიხატება. ამიტომ თავდებზე უნდა გადავიდეს პროცენტის გადახდის ვალდბულებაც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ იყო შეთანხმებული. სხვა შემთხვევაში თავდების ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ ძირითად ვალდებულებაზე და ისიც ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ფარგლებში.[39]

ასევე აღსანიშნავია, რომ თავდებობიდან გამომდინარე უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობაა თავდებისათვის შეტყობინების გაგზავნა ძირითდი მოვალის მიერ ვადის გადაცილების ან ვალდებულების სხვაგვარი დარღვევის შესახებ. თავდებს შეუძლია ნებისმიერ დროს კრედიტორს მოსთხოვოს ინფორმაცია უზრუნველყოფილი ვალდებულების მდგომარეობის შესახებ. კრედიტორის მიერ აღნიშნული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, კანონი ითვალისწინებს უარყოფით შედეგებს, კერძოდ, კრედიტორი კარგავს თავის მოთხოვნებს თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით, რა ოდენობითად აღნიშნული

[39] ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე. გამომცემლობა „სამართალი, თბილისი, 2001 წ. გვ. 235-236.

ვალდებულებები გამოიწვევდა ზიანს. თავდები დაცულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც კრედიტორი ამცირებს საგირავნო უფლებებს ან უზრუნველყოფის სხვა საშუალებებსა და შეღავათებს; ამ დროს თავდების პასუხისმგებლობა მცირდება ზემოაღნიშნული შემცირების შესაბამისი თანხით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 901-ე მუხლი).[40]

თავდების პასუხისმგებლობა ძალაში იქნება მანამ, სანამ ძირითადი ვალდებულება იარსებებს. ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა ავტომატურად გამოიწვევს თავდებობის შეწყვეტას. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი ვალი შემცირდება, იგი ავტომატურად გამოიწვევს თავდების პასუხისმგებლობის შემცირებას.[41]

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას და სასამართლოს მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 3კ/815-01, სასამართლო განმარტავს, რომ თავდებობის ხელშეკრულება ცალმხრივია და კრედიტორს მოთხოვნის უფლება წარმოეშობა თავდების მიმართაც. ამიტომ თავდებობის ხელშეკრულებაში თავდები შესაძლოა გამოდიოდეს მოვალის როლშიც. მას ძირითდ მოვალესთან ერთად ეკისრება პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისათვის. თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა, რომ იგი მიიღოს კრედიტორმა და იგი უნდა დარწმუნდეს, რომ ამ დოკუმენტში გამოხატული ნება ნამდვილად გამომდინარეობს ამ ხელშეკრულების მხარისაგან. თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ასევე საჭიროა თავდებობის დოკუმენტში თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალურად განსაზღვრული თანხის მითითება. აღნიშნული მიუთითბს პასუხისმგებლობის ფარგლებზე. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე ითხოვს თავდებს დაეკისროს ძირითდი ვალი, პროცენტი, პირგასამტეხლო. პალატამ მიიჩნია,

---

[40] ზურაბ ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მესამე გადამუშავებული გამოცემა, ქ.თბილისი, 2020წ. გვ.260

[41] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.552.

რომ მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან პირგასამტეხლოს გადახდევინება შეთნხმებული არ ყოფილა და მოსარჩელის მიერ საგარანტიო წერილით დათქმულ ვადაში ამასთნ მიმართებით პრეტენზია წარდგენილი არ ყოფილა. ასევე მოსარჩელეს უარი ეთქვა 10 თვის პროცენტის დაკმაყოფილებაზე, შემდეგ გარემოებათა გამო, სამოქალაქო კოდექსის 902-ე მუხლის თნახმად თუ კრედიტორი არ აცნობებს თავდებს ძირითადი მოვალის მიერ ვადის გადაცილებას, ან თავდების მოთხოვნის საფუძველზე მას არ მიაწვდის ცნობებს ძირითადი მოვალის მდგომარეობის შესახებ, მაშინ იგი დაკარგავს უფლებას თავდების წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნის იმ ნაწილზე, რა ოდენობითაც გამოიწვევდა ზიანს კრედიტორის მიერ აღნიშნულ მოვალეობათა შეუსრულებლობა. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ კრედიტორმა დროულად არ აცნობა თავდებს ვალის გადახდის ვადის გადაცილება და სარჩელი აღძრა სასამართლოში ვადის დადგომიდან 10 თვის შემდეგ. აღსნიშნულის გამო მოსარჩელეს უარი ეთქვა 10 თვის პროცენტზე, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა.[42]

ზემოთ აღნიშნულ საქმეში სასამართლო მიუთითებს და განმარტავს სწორედ თავდების პასუხისმეგებლობის ფარგლებს, აღნიშნული პრაქტიკა და განმარტება ნათლად წარმოაჩენს პრაქტიკისა და ნორმების თანხვედრას.

[42] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 3კ/815-01.

3.3 თავდების უფლებები და შესაგებლის უფლება კრედიტორის მიმართ

თავდებობა უფრო ფართო უფლებამოსილებას აკუთვნებს თავდებს. ეს უფლებამოსილებანი უმეტესად ძირითადი მოვალის ინტერესებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენისას, თავდებს შეუძლია მის წინააღმდეგ ძირითადი მოვალის შესაგებელი წარმოადგინოს და ეს შეიძლება მოხდეს დამოუკიდებლად. ამ პროცესში ძირითადი მოვალის ჩაუბმელად. არც იმას აქვს მნიშვნელობა, ეს უკანასკნელი წინააღმდეგია თუ არა შემხვედრი მოთხოვნის წაყენებაზე. ამ დროს ერთი მოთხოვნა კი აუცილებლად უნდა იქნეს დაცული - თავდებს უფლება აქვს წააყენოს მხოლოდ ის შესაგებლები, რომელთა წამოყენებაც ძირითად მოვალეს შეუძლია. თავდების აღნიშნული უფლება სრულებითც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი უფლებამოსილება სხვა სფეროებზეც ვრცელდება.[43]

მართალია, ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობისას კრედიტორს შეუძლია თავდებისაგან მოითხოვოს მოთხოვნის დაკმაყოფილება, მაგრამ თავის მხრივ

[43] ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე. გამომცემლობა „სამართალი, თბილისი, 2001 წ. გვ. 237.

თავდებსაც აქვს თავდაცვის შესაძლებლობა. ამასთან, მას უფელბა აქვს გამოიყენოს არა მხოლოდ საკუთარი უფლებები, არამედ ის უფლებებიც, რომლებიც მოვალეს კრედიტორის მიმართ აქვს - ე.წ დერივატიული უფლებები. აქედან გამომდინარე წარმოშობის წყაროს მიხედვით თავდების უფელებები შეიძლება დაიყოს თავდების საკუთარ და დერივატიულ (არაპირდაპირ) შესაგებლებად. თავდების შესაგებლები შეიძლება ეხებოდეს, როგორც თავდებობის ხელშეკრულებას, ისე ძირითად ვალდებულების ნამდვილობას ან განხორციელებადობას, მიუხედავად იმისა საუბარია საკუთარ თუ დერივატიულ შესაგებლებზე. დერივატიული შესაგებლის გამოყენების უფლება კრედიტორის მიმართ თავდებს 899 I მუხლის წინადადების საფუძველზე აქვს. 899 II მუხლის თანახმად თავდებს იმ შესაგებლების გამოყენების უფლებაც ენიჭება, რომელთა გამოყენებაზეც ძირითადმა მოვალემ უარი თქვა, მაგალითად თუკი კრედიტორის მოთხოვნა ძირითდი მოვალის მიმართ ხანდაზმულია, მაგრამ ძირითდი მოვალე ამაზე არ უთითებს, თავდებს უფლება აქვს მოთხოვნის ხანდაზმულობის საბაბით უარი უთხრას კრედიტორს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ცხადია ამ შემთხვევაში მოთხოვნის ხანდაზმულობა არ იწვევს მოთხოვნის შეწყვეტას და, თავდების აქცესორულობიდან გამომდინარე, თავდებობაც არ წყდება, მაგრამ ხანდაზმულობა უფლებას აძლევს თავდებს უარი თქვას შესრულებაზე.[44]

კანონმდებელი თავდებს კოდექსის 899-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ასევე ანიჭებს ყველა იმ შესაგებლის წარდგენის უფლებას, რომელიც ძირითდ მოვალეს ეკუთვნის. აღნიშნული რეგულირების საფუძვლად თავდებობის აქცესორული ბუნება გვევლინება. კანონმდებელი აღნიშნული რეგულირებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თავდებობა სხვისი ვალის შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება და შესაბამისად კრედიტორს თავდების მიმართ უფლების

[44] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.194.

განხორციელების თვალსაზრისით იმაზე კარგი უფლებები არ უნდა ჰქონდეს, ვიდრე მას მოვალის მიმართ აქვს. ნორმა მოვალის ყველა არსებულ შესაგებელს მოიცავს. [45]

იმ შემთხვევაში, თუ მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე. თავდების პასუხისმგებლობა ხელუხლებელი რჩება. კოდექსის 899-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებიდან გამომდინარე დანაწესი თვითონ თავდებობის უზრუნველმყოფი ხასიათიდან და მისი მიზნიდან გამომდინარეობს, რომელიც კრედიტორის ინტერესის დაცვას გულისხმობს ამ უკანასკნელის მიერ მოვალის მხრიდან დაკმაყოფილების ვერმიღების შემთხვევაში.[46]

ასევე, თავდების მნიშვნელოვან დერივატიულ შესაგებელს წარმოადგენს კრედიტორის დაკმაყოფილებაზე უარის უფლება მანამ, სანამ ძირითად მოვალეს აქვს კრედიტორთან დადებული გარიგების შეცილების უფლება. მაგალითად, ძირითადი მოვალე დავობს, რომ გარიგება მოტყუებით ან იძულებით არის დადებული და ამ საფუძვლით ითხოვს მის ბათილობას. დავის გადაწყვეტამდე თავდები უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს კრედიტორი. თუკი სასამართლო დავას გადაწყვეტს მოვალის სასარგებლოდ, ეს ათვისუფლებს თავდებს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან. ამით კანონი ერთი მხრივ, ხაზს უსვამს თავდებობის მჭიდრო კავშირს უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან, ხოლო მეორე მხრივ კიდევ უფრო განამტკიცებს თავდების სამართლებრივ მდგომარეობას და მას საკუთარი ინტერესების დაცვის მეტ შესაძლებლობას ანიჭებს. [47]

---

[45] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.554.

[46] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.554-555.

[47] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.195-196.

3.4 თავდებობისაგან განთავისუფლება

კანონით გათვალისწინებულია თავდებობის არა მარტო შეწყვეტა, არამედ პასუხისმგებლობისაგან განთვისუფლების შესაძლებლობაც. თავდებობის წარმოშობის საფუძველს ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს. თავდებობის ვალდებულებისაგან განთვისუფლება შეიძლება მოხდეს არა მარტო მაშინ, როცა პირი თავდებობასკისრულობს ძირითადი მოვალის დავალებით, არამედ მაშინაც, როცა დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმართვისთვის ხდება პირის თავდებად ცნობა და მას მიენიჭება რწმუნებუის უფლებები ძირითდი მოვალის მიმართ. ორივე შემთხვევაში პირს შეუძლია თავდებობის მოვალეობისაგან განთავისუფლება მოითხოვოს, მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ და არა სხვა შემთხვევებშიც. კანონი, კი სამ ასეთ საფუძველს იცნობს. ესენია: 1. ძირითდი ქონებრივი მდგომარეობის არსებითდ გაუარესება. ამ დროს სახეზე უნდა არსებობდეს ძირითდი მოვალის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი სამართლებრივი დოკუმენტები, რაც თავდებობის არაპერსპექტიულობაზე მიუთითებს. 2. ძირითდი მოვალისაგან გადახდევინების გაძნელება იმის გამო, რომ შეიცვალა მისი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი. გადახდევინების არსებითი გაძნელება ნიშნავს იმას, რომ თავდებობის დადგენის შემდეგ ძირითდი მოვალე თავის ვალდებულებას განსაზღვრული დროის მანძილზე ასრულებდა, მაგრამ შემდეგ იგი შეწყდა იმის გამო,

რომ გაჭირდა მოვალის მდგომარეობა და ასეთი მდგომარეობა კვლავაც გაგრძელდება. 3. კრედიტორისათვის თავდებისაგან შესრულებაზე მოთხოვნის წაყენების აუცილებელი სააღსრულებო წარწერის არსებობა. ასეთ, შემთხვევაში, ბუნებრივია, თავდებობის შენარჩუნებას არანაირი აზრი აღარ აქვს და სააღსრულებო წარწერის მქონე დოკუმენტში მითითებულ მოვალეობათა იძულებითი აღსრულების შემდეგ პირი უნდა განთვისუფლდეს თავდებობის მოვალეობისაგან.[48]

კოდექსის 904-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები შესაძლებელია ძირითდ მოვალესა და თავდებს შორის შეთნხმებით საერთოდ გამოირიცხოს, ანდა, პირიქით განივრცოს. ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა და ამის შესაძლებლობას იძლვა. ამ საფუძვლების არსებობისას მოვალე ვალდებულია თავდები გაანთვისუფლოს თავდებობისაგან და შესაბამისად, კრედიტორის მხრიდან შესაძლო მოთხოვნის წარდგენის რისკისაგან. ის, თუ როგორ განახორციელებს მოვალე 904-ე მუხლიდან გამომდინარე თავდების მოთხოვნის დაკმაყოფილებას და მის განთავისუფლებას თავდებობის ვალდებულებისაგან, მთლიანად მის შეხედულებაზეა დამოკიდებული. მას შეუძლია კრედიტორის მოთხოვნა დააკმაყოფილოს და ამგვარად, შეწყვიტოს თავდების ვალდებულება, ანდა თავდებს უბიძგოს თავდებობის გათვისუფლების მოთხოვნისაკენ. იმ შემთხვევაში, როდესაც თავდების მოთხოვნა განთავისუფლებაზე ჯერ არ წარმოშობილა, მოვალეს შეუძლია თავდებს თავდებობით ნაკისრი ვალდებულებისაგან განთავისუფლების ნაცვლად ძირითდი ვალდებულების უზრუნველყოფა მისცეს. ამ შემთხვევაში მოვალის მიერ წარდგენილი უზრუნველყოფა სრულიად უზრუნველყოფს 905-ე მუხლიდან გამომდინარე თავდებზე გადასული კრედიტორის ძირითადი მოთხოვნის განხორციელებას და შესაბამისად, ის რისკი, რომ კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ თავდები ვერ შეძლებს კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ვერ შეძლებს, აღარ არსებობს.

[48] ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე. გამომცემლობა „სამართალი, თბილისი, 2001 წ. გვ. 242-243.

შესაბამისად, არც თავდებობისაგან განთვისუფლების უფლება არ წარმოიშობა. ამგვარი არჩევანის უფლება, რომელიც თავდების განთვისუფლების ნაცვლად მისთვის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიცემას გულისხმობს, მხოლოდ მოვალეს გააჩნია, თავდების არჩევის უფლება არ წარმოიშობა.[49]

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის 904-ე მუხლის 1-ელ ნაწილში ადგილი აქვს თარგმნითი ხასიათის ხარვეზს, რომელიც მდგომარეობს მხოლოდ ერთ სიტყვაში, უფრო ზუსტად, ნორმის ტექსტში სიტყვის არარსებობაში. 904-ე მუხლის ქართული ვერსიის ნორმის არსიდან გამომდინარე, თავდებს ნებისმიერ დროს, თუნდაც სასამართლოში დავის მიმდინარეობისას, შეუძლია მოითხოვოს თავდებობისაგან გათავისუფლება, თუ არსებობს ამ მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებები. მაგრამ ეს გამოიწვევს კრედიტორის ინტერესების შელახვას; ეს უკანასკნელი დაკარგავდა უზრუნველყოფას სწორედ იმ დროს, როდესაც მოვალის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა. ამ ნორმის ქართულ ვერსიას თვისი ფორმულირების გამო, შეიძლება შედეგად მოჰყვეს მისი არასათანადო, მცდარი გამოყენება პრაქტიკაში; იგი იძლევა თავდების მიერ ნებისმიერ დროს პასუხისმგებლობისაგან გათვისუფლების საშუალებას იმ დროს, როდესაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსში არსებულ ამ ნორმის ანალოგში აღნიშნული დაშვებული არ არის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 904-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალოგიური ნორმა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულია §775 1-ელ ნაწილში, რომლის კორექტული თარგმანის გაცნობის შედეგად ვადგენთ ქართული ნორმის სწორ ვერსიას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 904-ე მუხლი მართალია სიტყვასიტყვით იქნა რეცეფცირებული, მაგრამ ქართული ტექსტის რედაქტორს გამორჩა ერთი სიტყვა, რომლითაც არსებითად იცვლება ნორმის შინაარსი. კერძოდ, გერმანულ ტექსტში აღნიშნულია, რომ თავდებს კი არ „შეუძლია მოითხოვოს თავდებობისგან

[49] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.566

განთავისუფლება“, არამედ თავდებს „შეუძლია მოსთხოვოს მოვალეს თავდებობისაგან განთვისუფლება“. სწორი ვერსიის შემთხვევაში თავდებს კი არ შეუძლია „საერთოდ“ ნებისმიერ დროს და ნებისმიერ პირსა თუ ორგანოს (მაგალითად, სასამართლოს) წინაშე მოითხოვოს განთავისუფლება, არამედ მხოლოდ მოვალისაგან და ამ უკანასკნელი ფორმალობის დაუცველობის შემთხვევაში იგი რჩება კვლავ ვალდებული თავდებობით. [50]

თავი IV: თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შედეგები

მართალია, თავდებობა ალტრუისტული გარიგებების კატეგორიას განეკუთვნება, რომლებშიც თავდების პირადი სარგებელი არ არის გამოკვეთილი, მაგრამ გაწეული ხარჯების კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობას კანონი თავდებს მაინც ანიჭებს. სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლის მიხედვით თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ. ამით მოვალესა და თავდებს შორის ახალი სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა. [51]

905-ე მუხლში კანონისმიერი ცესიაზე (cession legis), რომლის დროსაც მოთხოვნა თავდებზე გადადის კანონის ძალით და მხარეთა შეთნხმება ამ შედეგის დადგომისთვის სავალდებულო არ არის. მხარეთა შეთნხმებით შეიძლება ამ ცესიის თვიდან აცილება. ეს ხდება, როგოც წესი მაშინ, როცა თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საზღაურის

[50] ზურაბ ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მესამე გადამუშავებული გამოცემა, ქ.თბილისი, 2020წ. გვ.26

[51] ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე. გამომცემლობა „სამართალი, თბილისი, 2001 წ. გვ.244.

გადახდა თავდებობის გაწევისათვის და კრედიტორის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოთხოვნის გადასვლა თავდებზე გამოირიცხება. [52]

თავდებზე კრედიტორის მოთხოვნის გადასვლით თავდები იკავეებს კრედიტორის ადგილს და ის ძირითადი მოვალის კრედიტორი ხდება. თუ ეს მოთხოვნა სხვა უზრუნველყოფით, მაგალითად, გირავნობით ან იპოთეკით არ არის გარანტირებული, თავდებისთვის ეკონომიურად შეიძლება არც იყოს საინტერესო. ამიტომ მოთხოვნის გადასვლით თავდებზე გადადის ყველა აქცესორული საშუალება, რომლითაც ეს მოთხოვნა არის უზრუნველყოფილი. თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილებამ წესით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეწყვეტა უნდა გამოიწვიოს, რადგან შესრულებით მოთხოვნა წყდება. შესაბამისად, თავდებზე არ უნდა გადავიდეს კრედიტორის მოთხოვნა. საქმე იმაშია, რომ კრედიტორის სასარგებლოდ გადახდით თავდები ძირითადი მოვალის ვალდებულებას კიარ ასრულებს, არამედ თავდებობიდან გამომდინარე თავის ვალდებულებას და თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან, რაც არ იწვევს ძირითდი ვალდებულების შეწყვეტას. [53]

თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პასუხი აგოს კრედიტორის წინაშე, თუმცა, როდესაც თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, შემდეგ უკვე მოვალესა და თავდებს შორის იწყება ურთიერთობის გარკვევა. სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლის თნახმად, როდესაც თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, ამ უკანასკნელზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითდი მოვალის მიმართ. კანონმდებელი აღნიშნული რეგულირებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მართალია, თავდები თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კუთვნილ ვალდებულებას ასრულებს, თუმცა ეს შესრულება სხვისი - მოვალის ვალდებულების

[52] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.198.
[53] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.199.

შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება და შესაბამისად, ის ქონებრივი ტვირთი, რომელიც თავდებმა მოვალის მაგივრად გასწია, საბოლოოდ თავდებს არ უნდა დააწვეს კისერზე.[54]

კრედიტორის მოთხოვნა თავდების მიმართ ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულების შესრულებისთნავე კანონის ძალით გადადის და ამისთვის თავდების მხრიდან რაიმე მოქმედების განხორციელება არ არის აუცილებელი. შესაბამისად თავდების მხრიდან თავდებობით ნაკისრი კუთვნილი ვალდებულების შესრულება კრედიტორის მოთხოვნის შეწყვეტას კიარ განაპირობებს მოვალის მიმართ, არამედ ამ მოთხოვნის უფლების დათმობას კანონის ძალით (cesio legis) და მის გადასვლას თავდებზე. შესაბამისად, თავდების მხრიდან კუთვნილი ვალდებულების შესრულება მოვალესა და კრედიტორს შორის არსებულ ურთიერთობაში მხოლოდ კრედიტორის ჩანაცვლებას განაპირობებს თავდებით. [55]

ნორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს. ანუ, იმისთვის, რომ თავდებმა 905-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა შეიძინოს მოვალის მიმართ, აუცილებელია კრედიტორის დაკმაყოფილების მომენტში კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ ნამდვილი იყოს, ანუ თავდებობით უზრუნველყოფილი ვალდებულება მოვალესა და კრედიტორს შორის უნდა არსებობდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც თავდები ასრულებს თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაგრამ ძირითადი მოთხოვნა მოვალესა და კრედიტორს შორის უკვე აღარ არსებობს, შეწყდა, ან ბათილია, მაშინ უფლების გადასვლა გამორიცხულია, ვინაიდან თავდები არარსებულ ვალდებულებას ასრულებს. ამ შემთხვევაში თავდები ვალდებულიე

---

[54] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.562

[55] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.562

უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად უკან მოითხოვოს უსაფუძვლოდ გადახდილი თნხა. [56]

თავდებზე კრედიტორის მოთხოვნის უფლების გადასვლასთან ერთად მასზე გადადის ის აქცესორული საშუალებებიც, რომლებიც მოვალის მიერ ძირითადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით იყო წარმოდგენილი. აღნიშნული რეგულირება პირდაპირ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 201-ე და 207-ე მუხლის მოთხოვნებიდან. აღნიშნული რეგულირება უადვილებს თავდებს კოდექსის 905-ე მუხლიდან გამომდინარე კუთვნილი მოთხოვნის განხორციელებას და ამცირებს იმ საფრთხეს, რომ თავდები ვერ შეძლებს მოვალის შესაძლო გადახდისუუნარობის გამო კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამასთნ, აღნიშნული გადასვლისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება იმ გარემოებას, ეს აქცესორული საშუალებები თავდებობის გაფორმებამდე არსებობდა, თუ მათი წარმოშობა თავდებობის წარმოშობის მერე მოხდა. ამგვარი გადაცემის შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ის შესაგებლები, რომლებიც მოვალეს ძირითდი ხელშეკრულებიდან გამომდინარე გააჩნდა კრედიტორის მიმართ, ხელუხლებელი რჩება. ამასთან ერთად, მოვალეს აქვს იმ შესაგებლის წარდგენის უფლებაც, რომელიც მასსა და თავდებს შორის ურთიერთობიდან გამომდინარეობს. [57]

რაც შეეხება არააქცესორულ უზრუნველყოფის საშუალებებს, ისინი ძირითდი მოთხოვნის გადასვლასთან ერთად ავტომატურ რეჟიმში არ გადადიან თავდებზე. ვინაიდან კანონმდებელი კოდექსის 201-ე მუხლში ზოგადად უზრუნველყოფის საშუალებათა გადასვლაზე საუბრობს, იმ გარემოებიდან უნდა ამოვიდეთ, რომ ნორმის არსი (Ratio Legis) ასევე არააქცესორული უზრუნველყოფის საშუალებებსაც მოიცავს. შესაბამისად იმის გათვალისწინებით, რომ თავდები მოვალის

[56] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.563

[57] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.563

ვალდებულებებისათვის დამატებით პასუხისმგებლობას კისრულობს, მას უფლება უნდა მიეცეს კოდექსის 905-ე, 201-ე, 207-ე მუხლების შესაბამისად ამგვარი არააქცესორული უზრუნველყოფის საშუალებათა გადაცემა მოითხოვოს. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სრულ შესაბამისობაშია გერმანულ სამართალში დამკვიდრებულ წესთნ, რომელსაც, თავის მხრივ, ქართველი კანონმდებელი თავდებობის მომწესრიგებელი ნორმების შემუშავებისას მრავალ რეგულირებას დაესესხა. აღნიშნული გადაცემის ნამდვილობა ამ შემთხვევაში დამოკიდებული იქნება უზრუნველყოფის გამცემის თანხმობაზე. [58]

შესაძლებელია მოვალესა და თავდებს შორის ასევე გაფორმებული იყოს ცალკე ხელშეკრულება, რომლის ძალითც თავდებმა იკისრა ვალდებულება თავდებად დადგომისა და მასში ყველა სხვა საკითხთნ ერთად, ასევე თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ მოვალის მიმართ თავდების მოთხოვნის განხორციელების წესი და ოდენობაც იყოს განსაზღვრული. როდესაც მოვალესა და თავდებს შორის ამგვარი შეთნხმება არსებობს, თავდებს შეუძლია მოვალის მიმართ მოთხოვნის განხორციელება სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლის თანახმად ან მოვალესა და მას შორის არსებული შეთნხმების საფუძველზე.[59]

თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შემთხვევაში ადგილი აქვს სუროგაციას, კერძოდ, თავდები იძენს კრედიტორის მოთხოვნას მოვალის მიმართ და ამ მოთხოვნასთნ დაკავშირებულ კრედიტორის კუთვნილ ყველა უფლებას.[60]

---

[58] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.563-564

[59] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.564

[60] ზურაბ ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მესამე გადამუშავებული გამოცემა, ქ.თბილისი, 2020წ. გვ.261

თავი V: თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი

მართლია, კრედიტორი უფლებამოსილია ძირითადი მოვალის მიერ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებებს შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების დროს, თავდებს დააკისროს შესაბამისი ვალდებულების შესრულება, მაგრამ კანონი ამ უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს. კრედიტორი ჯერ ძირითადი მოვალისაგან ყველანაირად უნდა ეცადოს მიიღოს შესრულება და მხოლოდ ამის მერე დააყენოს თავდების პასუხისმგებლობის საკითხი. ამიტომ თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის მიერ წაყენებულ მოთხოვნაზე მანამ, ვიდრე კრედიტორი ძირითდი მოვალის მიმართ არ მიმართავს იძულებით აღსრულებას. აუცილებელია კრედიტორმა სასამართლოს მიმართოს მოვალისაგან იძულებითი გადახდევინების შესახებ და მხოლოდ მას შემდეგ, როცა იძულებითი აღსრულება ვერ მოხერხდება, მაგალითან მოვალის გადახდისუუნარობის ან სხვა მიზეზის გამო, კრედიტორს შეუძლია ვალდებულების შესრულება მოვალის

ნაცვლად მოსთხოვოს თავდებს. ასეთ შემთხვევაში თავდები ვალდებულია დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა. [61]

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საქმეზე #ას458-792-05, სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლის თნახმად თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფლებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ გადაწყვეტილების აღსრულებას. აღნიშნული მუხლის დისპიოზიციურობა გამოიხატება იმაში, რომ თავდებს შეუძლია იძულებითი აღსრულების გარეშე გადაუხადოს კრედიტორს ვალი, ან შეასრულოს რაიმე სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. ეს დამოკიდებულია თვითონ თავდების ნებაზე. განსახილველი ნორმა ითვალისწინებს იძულებით აღსრულებას, რაც ასევე გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილით. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კერძოდ, ვალდებულების ძალით, კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. შესრულების მოთხოვნის ინსტიტუტი უპირველეს ყოვლისა გულისხმობს აღნიშნული სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელებას, რაც ასევე დაცულია ამავე კოდექსის 115-ე მუხლის პირველი წინადადებით. კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული დანაწესი იცავს მოვალეს კრედიტორის თვითნებობისაგან. ამრიგად, მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას სასამართლოს მეშვეობით, ანუ კრედიტორს შეუძლია მოვალისაგან სასამართლოს მეშვეობით, შესრულების იძულებითი განხორციელება მოითხოვოს. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ კრედიტორის მიერ სასარჩელიო წესით

[61] ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე. გამომცემლობა „სამართალი, თბილისი, 2001 წ. გვ. 231-232.

სასამართლოში მოთხოვნის დაკმაყოფილების მცდელობა წარმოადგენს მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების საშუალებას.[62]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლი არა მარტო ანიჭებს თავდებს კრედიტორის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უფლებას, არამედ განსაზღვრავს ამ უფლების ფარგლებს, ანუ თავდებს აღნიშნული უფლება გააჩნია, ვიდრე კრედიტორი არ ეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. მხედველობაში არის მისაღების ის მომენტი, რომლის დადგომის შემდეგ თავდები კარგავს ამ ნორმით მინიჭებული კრედიტორის დაკმაყოფილების უარის თქმის უფელაბას. ამდენად, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული მომენტი წარმოადგენს იურიდიულ ფაქტს, რომელიც ცვლის ამ ნორმაში მითითებული სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების სამართლებრივ დამოკიდებულებას. კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული იურიდიული ფაქტი გულისხმობს კრედიტორის ყველა იმ მოქმედებას, რაც დაკავშირებულია ძირითდი მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების ინსტიტუტთან, ანუ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო წესით მოთხოვნის უფლების რეალიზაციასთნ. [63]

თავისთავად კრედიტორს ამ მოქმედების განხორციელების საჭიროება წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თავდები უარს იტყვის კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამრიგად, განსახილველი ნორმის თანახმად, თავდებს შეუძლია უარი თქვას ნორმით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე. [64]

---

[62] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #ას458-792-05

[63] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #ას458-792-05

[64] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #ას458-792-05

თავი V: თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტა

თავდებობის, როგორც ვალდებულებით სამართლებრივი ხელშეკრულების, შეწყვეტის ზოგად საფუძვლებთან ერთად საყურადღებოა იმ შემთხვევების განხილვა, რომელთა არსებობისას თავდებობა, როგორც აქცესორული საშუალება წყდება.

ძირითადი მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე თავდებობით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულება იწვევს ამ ვალდებულების შეწყვეტას (427-ე მუხლი). თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, ძირითდი ვალდებულების შწყვეტა იწვევს თავდებობის შეწყვეტასაც (893-ე მუხლის პირველი წინადადება). ვალდებულების შესრულების ფორმას, როგორიც არის პირდაპირი გადახდა, დეპონირება ან გაქვითა, მნიშვნელობა არა აქვს. ვალდებულება შეწყვეტილად ჩაითვლება მაშინაც, როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება

- კონფუზია (452-ე მუხლი). კონფუზია იწვევს მოთხოვნის შეწყვეტას, რაცაც შედეგად მოჰყვება თავდებობის შეწყვეტაც.[65]

შესაძლებელია, რომ თავდებობის ხელშეკრულება განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით იყოს დადებული. თუ ხელშეკრულება განსაზღვრული ვადითაა დადებული, ის ავტომატურად შეწყდება ამ ვადის გასვლისთნავე.[66]

თავდების ინიციატივით თავდებობის ცალმხრივად შეწყვეტის რამდენიმე საფუძველს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსი. განსაკუთრებით ეს ეხება იმ შემთხვევებს, როცა თავდები ძირითდი მოვალის დავალებით დგება თავდებად ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საფუძველზე კისრულობს თავდებობას (904-ე მუხლი). 904-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ერთ-ერთი წინაპირობის არსებობისას თავდებს შეუძლია ძირითდი მოვალისაგან მოითხოვოს კრედიტორის დაკმაყოფილება ან სხვა უზრუნველყოფის შეთავაზება და ამით თავდებობისაგან განთვისუფლება. [67]

თავდებს ასევე შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე იმ შემთხვევაში, თუ ძირითად მოვალეს უფლება აქვს სადავო გახადოს ის გარიგება, რომელიც საფუძვლად უდევს მის ვალდებულებას, ე.ი კრედიტორსა და ძირითად მოვალეს შორის დადებული გარიგება (მაგალითდ მოვალეს შეუძლია სადავო გახადოს გარიგება, როგორც მოტყუებით დადებული).[68]

თავდებობის ხელშეკრულება, ზოგადი წესით, წყდება მისი ვადის გასვლით. თუ თავდებობის ხელშეკრულების ვადა აღემატება ხუთ წელს, ამ ვადის გასვლის შემდეგ

---

[65] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.201.

[66] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.567

[67] ლადო ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართლი“, ქ.თბილისი, 2012 წ. გვ.203.

[68] ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999წ. გვ.248.

ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის ცალმხრივი ნების გამოვლენით ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით. ცალმხრივი ნების გამოვლენით ნებისმიერ დროს წყდება, აგრეთვე, თავდებობის ხელშეკრულება, რომელიც არ არის განსაზღვრული ვადით დადებული, თუმცა, ამ შემთხვევაშიც თავდები ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადა. ცალმხრივი შეწყვეტის შემთხვევაში, თავდები ვალდებულია, შეასრულოს შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებანი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 903-ე მუხლი). [69]

თავდებობის ხელშეკრულების შეყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე ის შემთხვევა, როდესაც ვალის გადაკისრება ხდება და მოვალე იკავებს კრედიტორის ადგილს. სამოქალაქო კოდექსის 206-ე მუხლიდან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, თუ თავდები არ განაცხადებს თნხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე, თავდებობა შეწყდება. ამ შემთხვევაში თავდების განცხადებისათვის აუცილებელია შესაბამისი წერილობითი ფორმის დაცვა, რომ იგი თანახმაა განაგრძოს თავდებობა. რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც კრედიტორი მოთხოვნას უთმობს სხვა პირს, მაშინ სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად, თავდებობაც ამ პირზე გადავა კანონის ძალით (ipso ure).[70]

რაც შეეხება მოვალის გარდაცვალების შედეგებს, მოვალის გარდაცვალება გავლენას ვერ მოახდენს თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობაზე. თავდებობის ხელშეკრულება რჩება ნამდვილი და განაგრძობს არსებობას. ეს წესი გამოიყენება ასევე მაშინ, როდესაც მემკვიდრეები შეზღუდულად აგებენ პასუხს. ასევე თავდების

[69] ზურაბ ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მესამე გადამუშავებული გამოცემა, ქ.თბილისი, 2020წ. გვ.261.

[70] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.567.

გარდაცვალებაც არ განაპირობებს ხელშეკრულების შეწყვეტას. იგი გადადის მემკვიდრეებზე და განაგრძობს არსებობას.[71]

თავი VI: თავდებობის ინსტიტუტი უცხო ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

კონტინენტური ევროპის თითქმის ყველა სამოქალაქო-სამართლებრივ კანონმდებლობაში მოცემულია თავდებობის ხელშეკრულების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები.

თავდებობა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. სამოქალაქო სამართლის განვითარების ყველა ეტაპზე იგი არ კარგავდა აქტუალობას და ამიტომ მას ფართოდ გამოიყენებენ რომის სამართლიდან მოყოლებული. თნამედროვე სამართლებრივმა

[71] ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ. გვ.567.

სისტემებმა გადმოიღეს რომის სამართალში არსებული მიდგომა და თავდებობის არსი დღესაც უცვლელია. [72]

ანგლოამერიკული სამართლის სისტემების წარმომადგენლების, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო სამართლის თანახმად, თავდები პირის ვალდებულება ხდება მაშინვე ძირითადი და იგი მთავარი მოვალის ნაცვლად აგებს პასუხს, როდესაც ძირითადი მოვალე ვალდებულებას არ შეასრულებს. ასეთი შეთანხმების არარსებობისას, თავდების პასუხისმგებლობის საკითხი არაა დამოკიდებული იმაზე, კრედიტორმა თავდებს შეატყობინა თუ არა ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, ან კრედიტორმა მიიღო თუ არა ზომები და ძირითად მოვალეს წაუყენა თავისი მოთხოვნა. მაშასადამე, კონტინენტური ევროპის კერძოსამართალში არსებული beneficium disscussions - ს პრინციპისაგან განსხვავებით, ინგლისური სამოქალაქო სამართალი თავდებ პირს არ აძლევს კრედიტორის სარჩელის უარყოფის საშუალებას და მის გადამისამართებას თავდაპირველ მოვალესთან ვერ ახდენს. თავდები, რომელსაც კრედიტორიმა წარუდგინა სარჩელი უფლებამოსილია, რომ კრედიტორს წარუდგინოს მთავარი მოვალის მოთხოვნები. [73]

რაც შეეხება კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობას, მაგალითად საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობა თავდებობის ფორმას განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ უყენებს. თავდებობის ფორმა გარიგების თაობაზე არსებულ ზოგად ნორმებს ესადაგება. თავდებობა მოვალის მოთხოვნის გარეშეც დაიშვება. თუმცა, თუ მოვალე წარუდგენს კრედიტორს თავდებობას, მაშინ თავდები უნდა იყოს ქმედუნარიანი, უნდა ჰქონდეს საკმარისი ქონება, რომ უზრუნველყოს საკმარისი ვალდბეულება, ასევე უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი იმ სააპელაციო

[72] სვანაძე ნათია. „თავდებობა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით.“ ჟურნალი: „სამართალი“, #1-2, 2004 წ. გვ.34

[73] სვანაძე ნათია. „თავდებობა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით.“ ჟურნალი: „სამართალი“, #1-2, 2004 წ. გვ.34

სასამართლოს ტერიორიულ ერთეულში, სადაც თავდებობა გაიცემა. აღსანიშნავია, რომ ფრანგული კერძოსამართლებრივ ნორმებს ეფუძნება ფაქტობრივად იაპონიის კერძოსამართალში არსებული თავდებობის ინსტიტუტიც. ასევე ბელგიის სამოქალაქო კოდექსის ნორმებიც თავდებობის ხელშეკრულებასთან მიმართებაში ფრანგული სამოქალაქო კოდექსის რეცეფციის შედეგია. თავდებობა აქაც აქცესორული ხასიათისაა.[74]

იტალიის სამოქალაქო კოდექსის ნორმები თავდებობასთან მიმართებით ძირითადად ემთხვევა გერმანიისა და საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობაში წარმოდგენილ ნორმებს. კანონი არ შეიცავს თავდებობის ფორმასთან დაკავშირებულ დებულებებს. ამიტომ სავარაუდოა, რომ მასზეც გარიგების ფორმასთან დაკავშირებით ზოგადი დებულებები გავრცელდება. იტალიის კანონმდებლობაში გაწერილია დებულებები თავდებობის არსებობის თობაზე მომავალი და პირობით ვალდებულებებთნ მიმართებაში. ასევე თავდებობა ვრცელდება ძირითად ვალდებულებასთნ დაკავშირებულ ყველა აქცესორულ ვალდებულებაზე. იტალიის კერძოსამართალში თავდებობა სოლიდარულ პასუხისმგებლობას გულისხმობს, თუ თავდებობის ხელშეკრულებით სხვა რამ არაა დადგენილი. [75]

პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსი, გერმანული სამოქალაქო კოდექსის გავლენით, ასევე ითვალისწინებს თავდებობის ინსტიტუტის მარეგულირებელ ნორმებს, რომლებიც გათვალისწინებულია ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში. [76]

ავსტრიის კერძოსამართლებრივ კანონმდებლობაში თავდებობის ხელშეკრულება დაწვრილებითაა აღწერილი. მაგალითდ, მარტივი თავდებობისას კრედიტორს

---

[74] სვანაძე ნათია. „თავდებობა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით.“ ჟურნალი: „სამართალი“, #1-2, 2004 წ. გვ.36

[75] სვანაძე ნათია. „თავდებობა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით.“ ჟურნალი: „სამართალი“, #1-2, 2004 წ. გვ.36

[76] კონრად ცვაიგერტი, ჰან კოტცი. შედარებითი სამართლმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტ. I. რედაქტირებული თევდორე ნინიძის მიერ, გადათრგმნილი ეკატერინე სუმბათშვილის მეირ. ქ.თბილისი, გამომცემლობა: „ჯისიაი“, 2001წ. გვ.119

შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს თავდებოს მხოლოდ მას შემდეგ რაც ძირითადი მოვალე არ შეასრულებს ვალდებულებას, იგი წარუდგენს მას სარჩელს და არ მიიღებს შესაბამის დაკმაყოფილებას. რაც შეეხება სოლიდარულ თავდებობას, აქ კრედიტორის არჩევანზეა დამოკიდებული ვის მიმართვს თავდაპირველად, მოვალეს თუ თავდებს. აღნიშნული წესი მოქმედებს მაშინაც, როცა თავდებობა სავაჭრო გარიგებას წარმოადგენს და რამდენიმე თავდების არსებობისას შეუძლია თითოეულს წაუყენოს მოთხოვნა კრედიტორმა თავდებობით უზრუნველყოფილი მთელი ვალდებულების ფარგლებში. ავსტრიის კანონმდებლობა ითვალისწინებს თავდები პირის წინაშე კრედიტორის პასუხისმგებლობის საკითხს, მაშინ როდესაც მოვალისაგან კრედიტორი დროულად არ მოახდენს ვალის ამოღებას და ამით ზიანს მიაყენებს თავდებს, რაც გამოიხატება მოვალისაგან ანაზღაურების მიღების შეუძლებლობაში. [77]

დასკვნა:

კვლევის მიზანს წარმოადგენდა თავდებობის, როგორც პერსონალური უზრუნველყოფის საშუალების განხილვა. აღნიშნული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა თავდებობის, როგორც ინსტიტუტის მნიშვნელოვანი როლი სამართლებრივ ურთიერთობებში, ვინაიდან ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული საკრედიტო ურთიერთობების განვითარებიდან გამომდინარე, თავდებობის, როგორც ინსტიტუტისა და ხელშეკრულების როლი, დღითი-დღე უფრო აქტუალური ხდება, რაც განპირობებულია იმით, რომ ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიერ სესხის უზრუნველყოფის გარეშე აღარ ხდება ხელშეკრულების გაფორმება. აღსანიშნავია ისიც, რომ საკრედიტო დაწესებულებები აღარ სჯერდებიან მხოლოდ უძრავ-მოძრავი ქონებით ვალდებულების

[77] სვანაძე ნათია. „თავდებობა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით.“ ჟურნალი: „სამართალი“, #1-2, 2004 წ. გვ.35

უზრუნველყოფას და დამატებით უზრუნველყოფის საშუალებად იყენებენ თავდებობას, რაც კიდევ უფრო მეტად განაპირობებს თავდებობის აქტუალობას და მნიშვნელოვან როლს დღევანდელ საკრედიტო ურთიერთობებში. აღნიშნული აქტუალობის კვალდაკვალ, კი წარმოიშობა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც თავდებობის ხელშეკრულების სწორ ანალიზს უკავშირდება, რიგ შემთხვევებში, როგორც სასამართლოს, ისე ხელშეკრულების მხარეების მხრიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ თავდებობით უზრუნველყოფილი საკრედიტო ურთიერთობების რიცხვი ძალიან დიდია, სწორედ ამიტომ ფინანსური ინსტიტუტების მიერ ძირითადად გამოიყენება თავდებობის ხელშეკრულების სტანდარტული ფორმები, შესაბამისად ძირითადად გავრცელებულია სოლიდარული თავდებობის სახე და ჩვეულებრივი თავდებობა თითქმის არ გამოიყენება. ასევე საყურადღებოა თავდების მიერ, დადებული ხელშეკრულების გააზრების ფაქტორი, რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც აბსოლიტურად გაუაზრებლად ხდება თავდების მიერ ხელშეკრულების გაფორმება და იმ ვალდებულებების აღება, რაც რეალურად მის მიერ გაცნობიერებული არ არის. განსაკუთრებით სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების პირობების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გაუაზრებლობა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აგდებს თავდებ პირებს და დღეს არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, მსგავსი შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად დიდია.

ვფიქრობ, რომ თემაში მეტ-ნაკლებად განხილული იქნა თავდებობის ინსტიტუტი და მისი როლი საკრედიტო ურთიერთობებში, ასევე გამოვლინდა განსხვავებები და მსგავსებები, რომლებიც ახასიათებთ თავდებობის მსგავს სხვა ინსტიტუტებს. ასევე, სხვა ქვეყნების კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივ ანალიზზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ ქართულ კანონმდებლობაში არსებული ნორმები, ძირითდად სხვა ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში არსებული ნორმების მსგავსია.

ბიბლიოგრაფია:

მონოგრაფიები:

1. ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი. რედაქტორი გიორგი ჯუღელი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014 წ.
2. ჭანტურია.ლ, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“ 2012 წ.
3. ნინო ლიპარტია, დისერტაცია, თემა: საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, ქ.თბილისი, 2018 წ.
4. ზურაბ ჭეჭელაშვილი, სადისერტაციო ნაშრომი: მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, ქ.თბილისი, 2008 წ.
5. ზურაბ ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა) მეოთხე გადამუშავებული გამოცემა 2016 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით, ქ.თბილისი, გამომცემლობა: „ბონა კაუზა“.

6. ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართლი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა: „მეცნიერება“, 2003 წ.
7. თამარ შოთძე, სანივთო სამართალი, გამომცემლობა: „მერიდიანი“, ქ.თბილისი, 2014 წ.
8. გიორგი რუსიაშვილი, თავდებობის ხელშეკრულება, მისი გამიჯვნა მსგავსი ტიპის შეთანხმებებისაგან და სპეციალური ფორმები. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2020წ.
9. ლადო ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2011 წ.
10. ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999წ.
11. ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე. გამომცემლობა „სამართალი, თბილისი, 2001 წ.
12. ზურაბ ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მესამე გადამუშავებული გამოცემა, ქ.თბილისი, 2020წ.
13. სვანაძე ნათია. „თავდებობა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით.“ ჟურნალი: „სამართალი“, #1-2, 2004 წ.
14. კონრად ცვაიგერტი, ჰან კოტცი. შედარებითი სამართლმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტ. I. რედაქტირებული თევდორე ნინიძის მიერ, გადათრგმნილი ეკატერინე სუმბათშვილის მეირ. ქ.თბილისი, გამომცემლობა: „ჯისიაი“, 2001წ. გვ.
15. ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი. თბილისი, 2010 წ.
16. ჭეჭელაშვილი ზ., ქართული ბიზნეს სამართალი, თბილისი, 2017 წ.
17. გაბისოანია, ზვიად. საბანკო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი“, 2012 წ.
18. ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010 წ.
19. ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013 წ.
20. ალეკო ნაჭყებია, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013) გერმანიის თნამშრომლობა, 2014 წ.
21. დოქტ. ჰან ბიოლინგი, პეტერ ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტებური ანალიზი, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2009 წ.

22. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), მთარგმნელი და რედაქტორი ზურაბ ჭეჭელაშვილი, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2010 წ.

სასამართლო პრაქტიკა:

1. უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 7 ივნისის სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმე #ას-3კ-432-02.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 3კ/815-01.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე #ას458-792-05

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (2020 წლის 26 ივნისის მდგომარეობით)
2. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების შესახებ (2020 წლის 26 ივნისის მდგომარეობით)
3. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ (2020 წლის 26 ივნისის მდგომარეობით)

ელექტრონული წყაროები:

გიორგი რუსიაშვილი, სამოქალაქო სამართლის კომენტარი მუხლი 891-ე. http://www.gccc.ge/%e1%83%ac%e1%83%98%e1%83%92%e1%83%9c%e1%83%98-%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%94/%e1%83%99%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%ab%e1%83%9d-%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%ac%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98/%e1%83%99%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%98-i-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%ae%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%a8%e1%8

3%94%e1%83%99%e1%83%a0%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%9d-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b/%e1%83%97%e1%83%90%e1%83%95%e1%83%98-xxii-%e1%83%97%e1%83%90%e1%83%95%e1%83%93%e1%83%94%e1%83%91%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%90/%e1%83%9b%e1%83%a3%e1%83%ae%e1%83%9a%e1%83%98-891/ (ულტანასკნელად გადამოწმებული 26/06/2020 წ.)

http://www.gccc.ge/

http://www.matsne.gov.ge/

http://www.supremecourt.ge/